# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 თებერვალი, 2014 წელი.

№35 (7416)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.



## განცხადებების გამომქვეყნების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 32 85 76.


## პოლიტიკურ-სექსუალური ორიენტირი



3 დასავლეთი და მხოლოდ დასავლეთი, არაფერი დასავლეთის გარდა!



## მამა იოთამის პროცესი იგივე ქართული ეკლესიის გასამართლებაა!.. 4

ვინ მივა პედერასტთა „ფილმის“ პრემიერაზე, სადაც თურმე „შიკალადზე“ ფალოსის ტორტის იქნება?

## სოჭი პეკინის ჭრილობებს აშუშებს 5

რუსეთი თბილისთან კავშირების განახლებას გეგმავს

## ქაღალდზე აშენებული უნივერსიტეტი ქარმა წაიღო 2

## გრძელი გზა თეირანისკენ 9



## აქი წამლები გაიაფდაო?! 6

## ეროვნული ხასიათის ჩამოშლა 7



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ქაღალდზე აშენებული უნივერსიტეტი ქარმა წაიღო

**წინა ხელისუფლების პირობებში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც უბრალოდ არ არსებობდა. ამის მიუხედავად, არარსებულის არსებობას გვაჯერებდნენ და გვიმტკიცებდნენ, რომ ყველაფერი რეალობა იყო. ყველაზე დიდი აფერა ქალაქ ლაზიკას ეხება, რომელიც პრაქტიკულად “აგვიშენეს“, „გაგვილამაზეს“, „ხალხიც შეასახლეს“ და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ბიზნესმენებსაც ატერორებდნენ. რეალურად კი ლაზიკას ადგილზე ისევ ჭაობია და სწორედ ამ ჭაობში იძირება წინა ხელისუფლება.**

არანაკლებ საინტერესო იყო საქართველოში ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობის თემაც. 2010 წელს, მოლაპარაკებების საწყის ეტაპზე, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისადმი საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი იყო იდეა ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის შესახებ.

ხანგრძლივი კონსულტაციების, ეკონომიკური ანალიზის, ხარჯების, სარგებლის და ბენეფიციარების შეფასების შედეგად გადაწყდა, რომ ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისათვის არ იყო მისაღები და აღარ მოხდა მისი კომპაქტში გათვალისწინება. მათივე თქმით, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ თავიდანვე უარყო ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობის აგების იდეა.

და რა მოხდა ამის შემდგომ? მიხეილ სააკაშვილმა საზეიმოდ გვამცნო, რომ აჭარაში მალე ახალი, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აშენდებოდა და, რაც მთავარია, ამერიკულ დიპლომს გასცემდა.

თავიდან ეს განცხადება ხელისუფლების მოქმედმა წარმომადგენლებმაც გაიოცეს, მაგრამ რადგან მიშამ თქვა, ერთ ხმაში დაიწყეს მტკიცება, რომ ეს უნივერსიტეტი საქართველოს მომავალი იყო.



მოგეხსენებათ, ასეთი დონის უნივერსიტეტს შესაბამისი შენობა სჭირდება და...

**— ჩვენ აჭარაში „ბათუმი თაუერს“ ვაშენებდით. ეს უნდა ყოფილიყო საქართველოში უდიდესი ბიზნესცენტრი. ერთ დღეს კი სააკაშვილმა გამომიცხადა, რომ „ბათუმი თაუერში“ ბიზნესცენტრის ნაცვლად ტექნოლოგიური უნივერსიტეტი გაიხსნებოდა. თავიდან გავიოცე, მაგრამ დამამშვიდეს, მშენებლობა ძველი პროექტით განაგრძე, არაფერი შეცვალოო. ბიზნესცენტრსა და უნივერსიტეტს შორის განსხვავება ხომ არის? ელემენტარულად, აუდიტორიები ხომ უნდა იყოს? პროექტში არანაირი ცვლილება არ გამაკეთებინეს და მეც უნივერსიტეტად მონათლულ ბიზნესცენტრს ვაშენებდი,** — ეს განცხადება „ბათუმი თაუერის“ მშენებელი კომპანიის, „ზიმოს“ დირექტორმა ზურაბ კიკნაძემ გააკეთა.

რა გამოდის? სააკაშვილმა ზუსტად იცოდა, რომ ბათუმში არანაირი უნივერსიტეტი არ შენდებოდა და ამის მიუხედავად, აქეთ მოსახლეობას აყრიდა თვალში ნაცარს, იქეთ — გაოცებულ ამერიკელებს, რომლებსაც ვერაფრით გაეგოთ, რა უნდოდა საქართველოს პრეზიდენტს და რატომ ასაღებდა რაღაც მაღალ შენობას უნივერსიტეტად. სააკაშვილის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მან უნივერსიტეტი გახსნა კიდეც და განაცხადა, რომ შენობა სტუდენტების მისაღებად მზად იყო. აჯობებს, ისევ ბატონ ზურაბ კიკნაძეს მოვუსმინოთ.

**— ჯერ მხოლოდ სამი სართულია გარემონტებული და სამუშაოდ ვარგისი. მთლიანად შენობა უკვე 78 მილიონ 486 ათასი ლარი დაჯდა და მის დასრულებას 5 მილიონი კიდევ ჭირდება. პრინციპში, გააჩნია დამკვეთი რას მოითხოვს, თორემ შესაძლოა, შენობას 100 მილიონიც კი არ ეყოს,** — აცხადებს კიკნაძე.

წინა ხელისუფლებამ 78 მილიონზე მეტი დახარჯა შენობაში, რომელსაც პრაქტიკულად ვერაფერში იყენებს, ამავე შენობაში, სააკაშვილის მითითებით, გაკეთდა ძვირადღირებული ლაბორატორიები, რომლებიც უკვე აღარ ვარგა, რადგან მათ დავალიანების გამო ელექტროენერგია აღარ მიეწოდებათ და შესაბამისად, აპარატურა მწყობრიდან არის გამოსული.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს ახალმა მთავრობამ შენობა ბათუმის მერიას გადასცა. სააკაშვილმა მაშინვე პრესკონფერენცია გამართა და იმჟამინდელ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილების გადახედვისკენ, ანუ იმისკენ მოუწოდა, რომ ფარსი, სახელად „ამერიკული უნივერსიტეტი“, ისევ გაგრძელებულიყო. არადა, სააკაშვილის ხელისუფლებამაც კი ვერ შეძლო და ვერ იპოვა უნივერსიტეტი, რომელიც ამ შენობის მენეჯმენტს საკუთარ თავზე აიღებდა. ყველა ხვდებოდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, ხვდებოდა წინა ხელისუფლებაც, მაგრამ ერთხელ ნათქვამის უარყოფა არ ჩვეოდა და ამ იდეასაც ბოლომდე მიაწვა.

მოქმედმა ხელისუფლებამ კი პრობლემა მარტივად და, რაც მთავარია, ეფექტურად გადაჭრა. 2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი 140 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულების მიზანია, საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გზით. აქცენტი კეთდება ზუსტი, საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. საქართველოსთვის გამოყოფილი მეორე კომპაქტის ფარგლებში იგეგმება პროექტები ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში.

საერთაშორისო ტენდერის შედეგად გამოვლინდა აშშ-სა და საქართველოს უნივერსიტეტებისგან შემდგარი სამი ნახევარფინალისტი კონსორციუმი. დღეისათვის მიმდინარეობს კონკურსის საბოლოო ფაზა. განათლების სფეროს წამყვანი პროფესიონალებისაგან შემდგარი დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია შეაფასებს და შეარჩევს პროექტს (ან პროექტებს). გამარჯვებული კონსორციუმი საქართველოში განახორციელებს უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამებს მომავალი 20 წლის განმავლობაში.

შესაბამისად, ის ინვესტიცია, რომელიც ამერიკულ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში უნდა ჩადებულიყო, სხვა მიმართულებით დაიხარჯება და რაღა თქმა უნდა, ისევ განათლების სისტემას მოხმარდება.

— შედეგი იქნება ბევრად კარგი, ვიდრე ამერიკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი იყო, ვინაიდან ამჯერად ეს არის ძალიან კარგად გათვლილი და გაზომილი გეგმა. 30 მილიონის ინვესტირება მოხდება უმაღლესი განათლების ნაწილში, დაფინანსება იქნება სახელმწიფოს მხრიდანაც. საუბარია, ტექნიკურ და საინჟინრო მიმართულებების განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე, — აცხადებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე.

მინისტრის პოზიციას სრულად იზიარებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯიმ მაკნიკოლასი. სხვათა შორის, ის იმ დროსაც იხსენებს, როცა წინა ხელისუფლებისგან უნივერსიტეტთან დაკავშირებით შეთავაზება მიიღო.

— 2011 წელს ჩვენ განვიხილეთ და შევაფასეთ ეს წინადადება ხარჯთაღრიცხვის თვალსაზრისით, ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ რამდენად იყო ის გამართლებული თავისი ხარჯებით და ეკონომიკური მონაცემებით. ასევე შევაფასეთ წინადადება პროგრამის ბენეფიციარებზე, ანუ საქართველოს მოქალაქეებზე გავლენის თვალსაზრისით. იმ დროს მიღებული შემოთავაზება არ იყო გამართლებული საქართველოს მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია და ისე ჩანს, თანხის მიზნობრივად და რაციონალურად ხარჯვა აშკარად იმაზე მეტ სარგებელს მოუტანს ქვეყანას, ვიდრე წინა ხელისუფლების მიერ ქაღალდზე და ჰაერზე აშენებული უნივერსიტეტი.

**გიორგი გვილდიანი**

---

**◎ როდემდე გაგრძელდება ასე?**

# ოქროს ციებ-ცხელება კაზრეთში

**კაზრეთში ისეთი დაძაბულობაა, რომ ძნელი წარმოსადგენია, იქ რაიმე იოლად დალაგდეს. საყდრისის თემა ჯერ კიდევ პიკზეა და ამ დროს ოქროს საბადოს თანამშრომლები გაიფიცნენ. ისინი ყველაფერში საწარმოს ადმინისტრაციას ადანაშაულებენ, კომპანიის წარმომადგენლები კი ხელს პროფკავშირებისკენ იშვერენ.**

ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში ოქროს საბადოს თანამშრომლები გაიფიცნენ. RMG GOLD-ისა და RMG COPPER 200-ზე მეტი თანამშრომელი 30 იანვარს სამსახურიდან გათავისუფლებული 180-ზე მეტი ადამიანის უპირობო აღდგენას, ხელფასების მინიმუმ, 40%-იან მატებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვს.



როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მუშაობისას მათი უსაფრთხოება დაცული არ არის და პარალელურად მათ შეურაცხყოფას აყენებენ. რაც შეეხება ხელფასს, გაფიცულების თქმით, ანაზღაურება მინიმალურია და მათ მიერ გაწეულ შრომას არ შეესაბამება.

აქციის მონაწილეებს გასულ პარასკევს დილით, 7 საათზე სხვა თანამშრომლები უნდა შეეცვალათ, თუმცა ოქროს საბადოს ნაცვლად, კაზრეთში, კულტურის სახლის წინ შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე სამუშაოს არ დაუბრუნდებიან. თანამშრომელთა ის ნაწილი კი, რომელსაც საწარმოში მუშაობა არ შეუწყვეტია, ქარხნის გაჩერებას დაუშვებლად მიიჩნევს.

გაფიცვა განხორციელდა დასაქმებულთა წარმომადგენლობა — „დასაქმებულთა ჯგუფის“ და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით.

როგორც კავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 13 თებერვალს შედგა სამმხრივი შეხვედრა პროფკავშირის წარმომადგენელს, კომპანიის ადმინისტრაციულ დირექტორსა და შრომის სამინისტროს წარმომადგენელს შორის, მაგრამ ამ პროცესმა თავიდანვე გამოიწვია დასაქმებულთა უნდობლობა, რადგან შეხვედრის პარალელურად დასაქმებულ ადამიანებზე მიმდინარეობდა ზეწოლა, მუქარა და დაშინება, გაფიცვაში მონაწილეობის შემთხვევაში.

კომპანია RMG მიიჩნევს, რომ გაფიცული თანამშრომლები საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირების და მისი პრეზიდენტის თამაზ დოლაბერიძის გავლენის ქვეშ არიან მოქცეული.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმ თანამშრომლებზე, რომლებიც დღეს ჩვეულ რეჟიმში გამოცხადდნენ სამსახურში, გაფიცულების მხრიდან ზეწოლას განიცდიდნენ, რის გამოც იძულებულნი გახდნენ, დღის 4 საათზე დაეტოვებინათ სამუშაო ადგილები.

კომპანია თამაზ დოლაბერიძეს სპილენძის კონცენტრატის ექსპორტთან დაკავშირებით შეგნებულად არასწორი ციფრებისა და განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

**„ყოველივე ზემოხსენებული გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს კომპანიის წინააღმდეგ მიმართულ შეგნებულ დესტრუქციულ ქმედებასთან, რომლის შესანიღბად ჩვენს თანამშრომელთა გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება იქნა ბოროტად გამოყენებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ხელფასის 100%-ით გაზრდის მოთხოვნის უპირობოდ დაყენება, რაც ნებისმიერ, ეკონომიკაში, ასე თუ ისე, ჩახედული ადამიანისათვის აბსურდულია“,** — აცხადებენ კომპანიაში.

კომპანია RMG აცხადებს, რომ შესაბამის ინსტანციებს მიმართავს, რათა იმ თანამშრომელთა უფლებები და ინტერესები დაიცვას, რომლებიც არ უერთდებიან გაფიცვას და მოითხოვოს გაფიცვის უკანონოდ ცნობაზე მოხსენებული საკანონმდებლო და ეთიკური დარღვევების გამო.

**მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელი თამაზ დოლაბერიძე კი ამბობს, რომ კომპანიაში თანამშრომელთა შემცირების მიზეზი მათ მიერ გამოხატული პროტესტია. დოლაბერიძე ამტკიცებს, რომ კომპანიას ფინანსური პრობლემები არ აქვს, ვინაიდან 2013 წელს 162 მილიონი დოლარის სპილენძი გაიყიდა, რომელიც 2012 წლის მაჩვენებელს სამჯერ აღემატება.**

**ბექა დანელია**

---

# აღდგეს საყდრისის საბადოს სტატუსი!

**74 არასამთავრობო ორგანიზაცია საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის აღდგენას ითხოვს.**

**აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის „საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ“ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ოფისში პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებით განცხადება გააცნო.**

პრესკონფერენციას კულუტრისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარიც ესწრებოდა. ჟურნალისტებს წარუდგინეს ავსტრიელი, გერმანელი და ამერიკელი მეცნიერების წერილები, რომლებიც საბადოს შესახებ ქართულ მხარეს მიაწოდეს.

— საყდრისი-ყაჩაღიანის მაღარო არის საერთაშორისო მნიშვნელობის კულუტურული მემკვიდრეობა. შესაბამისად, მივმართავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს დაუყოვნებლივ, მკვეთრად და საჯაროდ დააფიქსიროს საკუთარი და სამინისტროს პოზიცია საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით. გაიზიაროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული სექციის რეკომენდაცია. ასევე საზოგადოების მაღალი ინტერესი და მოთხოვნა ადგილობრივი და საერთაშორისო-სამეცნიერო წრეების რჩევა საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის აღდგენის შესახებ და ხელი შეუწყოს ძეგლზე საერთაშორისო კვლევების გაგრძელებას. ასევე მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლობებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, გაითვალისწინონ საყდრისი-ყაჩაღიანის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება და გამომდინარე დღევანდელი საგანგაშო მდგომარეობიდან, მოახდინონ მყისიერი რეაგირება ობიექტის გადასარჩენად, — ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი 66 არასამთავრობო ორგანიზაცია და 8 არაწევრი ორგანიზაცია.

**ინტერპრესი**

# ქოც-ნაცები საბოლოოდ გარიგდნენ?!



# პოლიტიკურ-სექსუალური ორიენტირი

## დასავლეთი და მხოლოდ დასავლეთი, არაფერი დასავლეთის გარდა!

**არავითარი ჩრდილოეთი ან სამხრეთ-აღმოსავლეთი, არავითარი ისტორიული წარსული, მეზობლობა, ერთმორწმუნეობა, სამეცნიერო-კულტურული კავშირები, მილიონნახევრიანი ქართული დიასპორა და ქართველი ერის ფიზიკურად გადამრჩენი გეორგიევსკის ტრაქტატის დადებითი მხარეები — ყველა და ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ უარყოფითი ვახსენოთ, და ჩვენი მზერაც მხოლოდ დასავლეთს, ეროვნული სახელმწიფოების მზის ჩასვენების მხარეს უნდა მივაპყროთ!**

რატომ ასეთი სიბეცე? ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ რუსეთის უღელქვეშ 200 წლის მანძილზე არა მარტო ფიზიკურად გადავრჩით და 10–ჯერაც გავმრავლდით, არამედ ავყვავდით კიდეც – საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკიდან საქართველო არავის ტოლს არ უდებდა არაფერში და ცხოვრების დონითაც ჩვენ შემოგვნატროდა ბევრი! ახლა? ახლა რა გვჭირს, რას მივაღწიეთ „დამოუკიდებლად", ამერიკის (იგივე დასავლეთის) პატრონატის ქვეშ 20 წელიწადში, ვართ რამეში პირველები, ვინმე ნატრულობს ჩვენს ბედს? აბსოლუტურად არავინ!

ვინ, რომელი ჭკუათმყოფელი ისურვებს იმას, რასაც ჩვენ მივაღწიეთ დასავლეთის „დახმარებით", კაბალური სესხებით და „რჩევებით" — ყველაზე დაბალ ხელფასებს და პენსიებს, ყველაზე მაღალ უმუშევრობას, მოსახლეობის 80 %-ის სიღარიბის ზღვარზე ან მის მიღმა ყოფნას, განათლების სამარცხვინო დონეს და დანგრეულ მეცნიერებას, 5-ჯერ გაზრდილ საგარეო ვალს, შრომისუნარიანი(!) მოსახლეობის ერთი მესამედის სამშობლოდან გადახვეწას (ფაქტობრივად, საქართველოსთვის დაკარგვას!), სხვის ომებში თავის გამოჩენას და საკუთარი მიწების (20 %-ის!) უბრძოლველად დათმობას, ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობიდან ყოველი მეათის პრობაციონერობას, ზნეობრივ გადაგვარებას და კიდევ ბევრ „სიკეთეს"! ამ „წარმატებების" დაუნახაობა ხომ შეუძლებელია! მაშ რა ხდება, **<u>რატომ ვაძაგებთ და მიწაში ვდებთ რუსეთთან ყოფნით მიღწეულ უამრავ დადებით მოვლენას (და მხოლოდ უარყოფითზე ვამახვილებთ ყურადღებას) და რატომ აგვყავს ცაში ქებით დასავლეთთან ყოფნით მართლაც რომ მიწაში ჩასადები „მიღწევები", „მეგობარი" დასავლეთის მიერ შევარდნაძე-სააკაშვილის ხელით განხორციელებული?!</u>** თითქოს მთელი ევროპა და ამერიკა ჩვენზე ზრუნავს — ფულით, რეკომენდაციებით, მაგრამ ახლოსაც ვერ მივალთ ჩვენსავით უგაზო და უნავთობო ბელარუსთან, რომელსაც დიქტატორად წოდებული პრეზიდენტი მართავს და, რომელსაც ლამის ბლოკადა გამოუცხადა „დემოკრატმა" დასავლეთმა; ან, იქნებ, ჩვენი დამაკავშირებელი გზების შემყურე მეზობელ სომხეთს ვაჯობეთ რამეში; ბოლო-ბოლო, იქნებ ვინმემ დაგვისახელოს ერთადერთი წარმატება მაინც ნებისმიერ სფეროში, რასაც საქართველომ დასავლეთის დახმარებით მიაღწია (ამ დასავლეთიდან უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობოების სოკოებივით მომრავლებას თუ არ ჩავთვლით, ცხადია, წარმატებად და კიდევ, ამ ორგანიზაციების მიერ გაჩაღებულ კამპანიას — მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისკენ და სოდომ-გომორის ცოდვის(!) ნორმად დაკანონებისკენ მიმართულს!)

ჩვენი უბედურება ის არის, რომ **<u>ქართველი ერის გადაგვარების ესტაფეტა ისე ოსტატურად გადასცა ამერიკამ უსუფაშვილ-ალასანიას ივანიშვილის ხელით (ღვთით მოვლენილი რომ გვეგონა, თურმე, ამერიკის მოვლენილი ყოფილა, და რუსეთს სულ ტყუილად ვაბრალებდით!), რომ დღესაც ბევრი ჯერ კიდევ ვერ მოსულა აზრზე.</u>** ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების შესაძლებლობაზე (თანაც, ახლო მომავალში!) ქართული ოცნებაც ზუსტად ისევე წარბშეუხრელად გვარწმუნებს, როგორც ამას ნაცმოძრაობა სჩადიოდა, და იმაშიც ცდილობს დაგვაჯეროს, თითქოს, ან ერთი ან მეორე, აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების გარანტი იყოს, და ევროკავშირშიც გაწყობილი სუფრა გველოდებოდეს.

ამ თემებზე სასაუბროდ (ოპოზიციურად მოაზროვნე პარტიების ლიდერებთან, ექსპერტებთან თუ პოლიტოლოგებთან), როგორც ნაცები ვერ ბედავდნენ ღია ეთერში დაჯდომას ოპონენტებთან, ზუსტად ისევე იქცევიან ქოცებიც. არა მარტო ამ თემებზე, საერთოდ, ნებისმიერ საკითხზე ღია კამათს გაურბიან არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, დიდი გული მხოლოდ გულში ჩახუტებულ (კოჰაბიტირებულ) დამნაშავე ნაცებთან აქვთ! დისკუსიას ვინ ჩივის, როცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში (რომელსაც ზაფხულზე ან შემოდგომაზე უნდა მოაწეროს ხელისუფლებამ ხელი) რა პირობებია ჩადებული, იმასაც კი არ გვიმხელენ — ხელს რომ მოვაწერთ, მერე გაგაცნობთ, თანაც, ჩვენს მიერ შერჩეულ მუხლებსო! მთელ ქვეყანას ძალით გვექაჩებიან იქ, სადაც რა ცხოვრების წესი გველოდება, რა მოუტანა ევროკავშირში უშუალოდ გაწევრებამ ჩვენზე უფრო განვითარებული აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობას, არ გვეუბნებიან. და ჩვენც, **<u>ჩვენდა სამარცხვინოდ, წყნარად, ცხვრის ფარასავით მივყვებით ქოც–ნაცების პოლიტიკური ნების დინებას. მეტი დაგლახება ერისა რაღა უნდა იყოს!</u>**

უკრაინისთვის შემუშავებული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში ჩადებული ვალდებულებები, არა მგონია, დიდად განსხვავდებოდეს საქართველოსთვის გამიზნულისგან, ამიტომ რამდენიმე საინტერესო პუნქტს მოვიყვან უკრაინის ვალდებულებების ჩამონათვალიდან:

**მსუბუქი და მძიმე მრეწველობის შემცირება, რათა ევროპულ საწარმოებს არ გაეწიოს კონკურენცია;**

**საბაჟო გადასახადების გაუქმება ან შემცირება ევროპულ საქონელზე;**

**ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ყველანაირ კრედიტზე დათანხმება;**

**ნატოს მიერ წამოწყებულ ომებში მონაწილეობა;**

**ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებისთვის ხელშეწყობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.**

ჰოდა, საქართველოს მიერ ამ და კიდევ ბევრი სხვა პუნქტის შესრულებას, თურმე, რუსეთი გაგებით მოეკიდება და თავზე ხელს გადაგვისვამს! ხომ ცდილობენ დაგვაჯერონ დაუჯერებელში — ნატოში და ევროკავშირში გაწევრება ხელს არ შეუშლის რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობასო! ამის მთქმელი პოლიტიკის გაგებაში რომ ნამდვილად არ არის ან ულმერთოდ ცრუობს, ამას წყალი არ გაუვა!

სწორედ ამიტომ, ქართული ოცნების მიერ გადადგმულ ბევრ ნაბიჯს (მათ შორის, კიევის ამბებთან დაკავშირებით წერილობით გამოხატულ პოზიციას) ნინო ბურჯანაძე გონებაჩლუნგობამდე მისული სიბრიყვით ან გარიგებით ხსნის. გონებაჩლუნგობის რა მოგახსენოთ, მაგრამ სულგაყიდულობა და ნამუსზე ხელის აღება ზუსტად მიესადაგება ქოცებიდან ძალიან ბევრს ( აბა, ნაცები კონკურსგარეშე არიან!).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთი რამ უდავოა — ნაცებთან შეამხანაგებული ქოცებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ცდილობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ მართლმადიდებლობაში და რუსეთთან კეთილმეზობლობაში კი არ უნდა ვეძებოთ საყრდენი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები, არამედ — ცხრა ზღვას იქით, ნატოსთან დაახლოებაში, ჰომოსექსუალიზმის ფრთების გაშლაში და ერთსქესიანთა ქორწინებებში! ეს აშკარად გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილის პრემიერობამდელ პერიოდში, პრემიერობის დროსაც და პრემიერობიდან ნებაყოფლობით(?!) გადადგომის შემდეგაც.

ივანიშვილს, პოლიტიკაში შემოსვლის (თუ შემოყვანის) დროს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების გეგმები რომ ჰქონოდა გუნებაში (ან მითითება მიღებული!), მაშინ რუსეთში არსებულ 1.3-მილიარდიან აწყობილ ბიზნესს არ გაყიდდა და რუსული ბაზრიდან, სადაც 20 წელი ფული აკეთა და მილიარდები იშოვა, ფეხს არ ამოიკვეთდა! **<u>იმ ქვეყნიდან, ვისთანაც ნორმალურ ურთიერთობას აპირებენ, არ გარბიან!</u>**

ამ ხერხით საქართველოს მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ივანიშვილი ეროვნული ინტერესების დამცველი კაცია და არა კრემლის პროექტი, პიარტექნოლოგების მიერ კარგად გათვლილი, ხალხის შეცდომაში შესაყვანი ფანდი იყო, რითაც ამერიკამ ორი კურდღელი დაიჭირა — ქართველი ხალხიც „დაგვაბა" და ივანიშვილის ქონების (აწ უკვე მთლიანად დასავლეთში განთავსებულის) უფრო ეფექტური გაკონტროლების საშუალებაც მიეცა, რითაც მას დამოუკიდებლად გაფხაკუნების საშუალება მოუსპო.

არადა, ამხელა ბიზნესი რომ დაეტოვებინა ივანიშვილს რუსეთში, დარწმუნებული ვარ იგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას მოინდომებდა. ახლა კი, დიდად არც ანაღვლებს — ყველაფერი დასავლეთშია დაბინავებული; საფიქრალი მხოლოდ ერთი აქვს — ისევე ხუთიანზე შეასრულოს დასავლეთის ახალი დავალებები, როგორადაც ძველები შეასრულა (პოლიტიკაში მოსვლა, პრემიერობიდან წასვლა, ხელისუფლებაში რესპუბლიკელების გაყვანა და მათი პირველ ვიოლინოდ წარმოჩენა, ნაცებთან კოჰაბიტაცია, სამართლის „აღდგენა", ჰომოსექსუალების დაცვა და ეკლესიის, პატრიარქის კრიტიკისთვის მწვანე შუქის ანთება). შესრულდება დავალებები, მილიარდებს მილიარდები დაემატება, არადა — საგრძნობლად მოაკლდება!

პრემიერის რანგშიც რომ არ ჰქონდა ივანიშვილს რუსეთთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნორმალიზება მიზნად დასახული (საყველპურო ლაპარაკის წამოწყებას ღვინო-ბორჯომ-ციტრუსების ექსპორტზე, ცხადია, არ ვგულისხმობ), თავიდანვე გამოჩნდა, როცა სააკაშვილის დროინდელი „ნატო-ნატოს" რიტორიკა ესტაფეტასავით აიტაცა;

და დღესაც, როგორც რიგით მოქალაქესაც, რომ არა აქვს მსგავსი გეგმები, მისი პირველივე პრესკონფერენციიდან გამოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციის „მოქალაქის" ხელმძღვანელის რანგში, რომელიც, ნუ იტყვით და, თურმე იმისთვის დაუარსებია, რომ ქართულ მედიას კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმაროს და... გააკონტროლოს კიდეც იგი! მაგრამ ვინმეს რომ რაიმეს სრულყოფაში დაეხმარო, მასზე მაღლა უნდა იდგე თავად ან გუნდი უნდა გყავდეს შესაბამისი დონის, ხოლო, რაც შეეხება მედიის გაკონტროლებას, ცოტა ძნელი გასაგებია, თუ რა იგულისხმა ივანიშვილმა — ცენზურობა თუ „სხვა რაღაც, უფრო წმინდა..." მაგრამ ყველაზე მთავარი მინიშნება (არახაზგასმით, სხვათაშორის გაკეთებული!) ამ ახალი, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იმ ორგანიზაციებთან ითანამშრომლებს, იმ ორგანიზაციებს დაეხმარება და იმათ წაახალისებს, რომლებიც ქვეყნის ევროპული სივრცისკენ (დასავლეთისკენ) სვლას უწყობენ ხელს, და არა — დასავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენაც, ვინც თანამედროვე ევროპულ „ღირებულებებს" შეგვაყვარებს და არა — ეროვნულ ტრადიციებს. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ „მოქალაქის" აღმასრულებელ დირექტორად „ფალოსის ტორტისმჭამელი" გიორგი საბანაძის დანიშვნა. ვინ დაიჯერებს, რომ ივანიშვილი ბრმად ენდო ვიღაცას და ასეთი საპასუხისმგებლო პოსტი საკუთარ(!) ორგანიზაციაში სახელგატეხილ პიროვნებას ჩააბარა?!

აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დატოვებულ ხელისუფლებაზე წარმოუდგენლად დიდი გავლენა აქვს ივანიშვილს (ჩემი აზრით, იგი ამერიკის მეორე ელჩის, ოღონდ უფრო გახსნილად მოქმედის, ფუნქციას შეასრულებს), ძნელი მისახვედრი აღარაა — **<u>ამ ხელისუფლების ხელში რუსეთთან ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები არ მოხდება.</u>** ისე კი, უნდა ითქვას ისიც, რომ ხელისუფლების ბირთვს — უსუფაშვილის და ალასანიას გუნდებს არავითარი მითითება არ სჭირდებათ, მათ იმდენჯერ აქვთ გავლილი ტრენინგი ოკეანეს გაღმა, რომ ივანიშვილის გარეშეც იციან, თუ რა პოლიტიკის გატარებას ითხოვს დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებისგან!

ვფიქრობ, **<u>გამოსავალი ერთია — ხელისუფლების შეცვლა!</u>** და იგი უნდა შეიცვალოს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება დაბალანსებული(!) და ეროვნული(!) პოლიტიკის გასატარებლად ყველა(!) მიმართულებით, პირველ რიგში კი რუსეთის მიმართ, რათა ხელისუფლების ცალმხრივმა, ნატოზე ორიენტირებულმა გაუთვლელმა საგარეო პოლიტიკამ კიდევ უფრო მეტ დაქუცმაცებამდე არ მიგვიყვანოს. როგორც აფხაზეთ-სამაჩაბლოს შემთხვევაში, ასევე გვიანი იქნება მერე თითზე კბენანი — ვერავითარი დასავლური, უკვე ირონიული ღიმილის მომგვრელი „შეშფოთებები" საფრთხეს ვერ აგვარიდებს!

როგორ არ დაგწყდება კაცს გული, როცა უყურებ როგორ გაბედულად იქცევა და თავის ქვეყანაზე ფიქრობს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, რომელიც ნატოს და ევროკავშირის წევრობის მიუხედავად, არც რუსეთთან ახლო ურთიერთობას ერიდება და არც — ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვას(!), რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაამტკიცა! ჩვენს ხელისუფლებას კი, რუსეთისკენ გახედვისაც ეშინია, და პრეზიდენტად დანიშნული მარგველაშვილი პუტინის შემოთავაზებულ წინადადებასაც კი ვერ უკეთებს ადეკვატურ კომენტარს. სამაგიეროდ, დასავლეთის საამებლად, ჰომოსექსუალურ ცოდვასთან მებრძოლი მღვდლების(!) დაჭერას ბედავენ და ჭკუასაც გვარიგებენ — პატრიარქიც გააკრიტიკეთ, ხელშეუხებელი არავინ არისო!

**<u>თუ კარდინალურად არ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, არავითარი აზრი არ ექნება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს.</u>** წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ შედეგები, ძალთა გადანაწილება საპრეზიდენტო არჩევნების ანალოგიური იქნება. ამიტომ აუცილებელია არა მოლაპარაკებებში დროის ფუჭად დაკარგვა, არამედ ულტიმატუმის წაყენება, რომელსაც ულტიმატუმიც პირობითად თუ დაერქმევა, რადგანაც ახალს არაფერს არ ვითხოვთ, ვითხოვთ ქართული ოცნების მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შესრულებას და მეტს არაფერს. შარს მაშინ მოგვდებენ, თუ ახალ მოთხოვნებს წავუყენებთ ხელისუფლებას, დაგვამუნათებენ კიდეც — როგორ შეიძლება ულტიმატუმის ენით ლაპარაკიო. **<u>16 თვის ლოდინის შემდეგ სრული იურიდიული უფლება გვაქვს დავადანაშაულოთ ქართული ოცნება ამომრჩევლის მოტყუების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში და მოვითხოვოთ ხელისუფლების გადადგომა!</u>**

კოჰაბიტაციურად ჩახუტებული, ერთსულ, ერთხორც ხელისუფლება ნებით არსად წამსვლელი არ არის, ამიტომ აუცილებელი გახდება საყოველთაო დაუმორჩილებლობა ყველგან და ყველაფერში. სხვაგვარად, „1-2 ბარტყი", შეიძლება, კიდეც გადმოგვიგდოს მან, შეიძლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც დანიშნოს, მაგრამ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების, საარჩევნო კოდექსში და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში სათანადო ცვლილებების შეტანის, პროცენტული ბარიერის შეცვლის, დაფინანსების და საეთერო დროის სამართლიანი განაწილების გარეშე, საბოლოო ჯამში, ისევ პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით, **<u>ტყუილებში გაწაფული ხელისუფლებისთვის გულუბრყვილო ხალხის გაცურება ძალზე იოლია!</u>**

**<u>პატიოსან ხელისუფლებას ოპოზიცია რატომ უნდა თხოვდეს ნორმალურ საარჩევნო გარემოს ან სამართლის აღდგენას, ეს ხომ ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა! დიახ,</u>** ყოველი ნორმალური ხელისუფლების, და არა ქოც-ნაცების ტანდემის, რომლებიც დასავლეთიდან მიღებული მითითებების, დასავლეთის წარმომადგენლებთან კონსულტაციების გარეშე ნაბიჯს ვერ დგამენ! მათი დევიზია: **<u>დასავლეთი და მხოლოდ დასავლეთი, არაფერი, დასავლეთის გარდა!</u>** ძალზედ გასაკვირვია, რომ სააკაშვილის ეშმაკურ ხრიკებთან ბრძოლაში გამობრძმედილი, პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი პარტიების ლიდერები იგივე შეცდომას იმეორებენ, კვლავ მოლაპარაკებების სატყუარა წრეზე დადიან, უკვე მერამდენედ! **<u>ახალი გარიგების მოწმენი ხომ არ ვხდებით?!</u>**

დღევანდელი გადასახედიდან გასასამართლებელია არა მარტო ნაცმოძრაობა, არამედ ქართული ოცნების არაერთი პარლამენტარი და მთავრობის წევრი (პროკურორ-მოსამართლეების უდიდესი ნაწილის ჩათვლით), რომლებიც ვალდებულნი იყვნენ დაესაჯათ დამნაშავეები და დასჯის ნაცვლად ხელი დააფარეს მათ. ნაცებთან ჩახუტების გასამართლებელ ათას საბაბს გამოძებნიან ქოცები, მაგრამ **<u>დანაშაულზე თვალის დახუჭვას და, მით უფრო, დამნაშავეებთან გარიგებას არავითარი გამართლება არა აქვს, იგი კიდევ უფრო დიდი დანაშაულია და უმკაცრესად უნდა შეფასდეს!</u>** დღეს თუ არა — ხვალ მაინც!

**იაკობ ლეჟავა,**
15 თებერვალი, 2014



# მამა იოთამის პროცესი იგივე ქართული ეკლესიის გასამართლებაა!..

## ვინ მივა პედერასტთა „ფილმის“ პრემიერაზე, სადაც თურმე „შიკალადნი“ ფალოსის ტორტიც იქნება?

**ალბათ, გემახსოვრებათ, ამას წინათ ვწერდი, რომ სულ რაღაც ერთი კვირის დანიშნული შს მინისტრი ჭიკაიძე ქართული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა, რომელთა ლიბერასტულ უმრავლესობას მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ რა მოხდებოდა წლევანდელ 17 მაისს: ერთ-ერთმა მათგანმა, კიდევ დაგვარბევთო? — პირდაპირ საკუთარი მისამართით (!!!) ჩამოაყალიბა კითხვა, რაზედაც ყმაწვილ მინისტრს — რა ვიცი, რა იქნება, ისე არც მე მეხატება გულზე პედერასტების პარადები, რადგან მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, მოძღვარიც მყავს და ვეზიარები კიდეცო, მიუგია!!!**

**მიუგია და ნინო ჯანგირაშვილის თამადობით „პრადვინუტი“ ჟურნალისტებისგან ისეთი რისხვაც დასტყდომია, რომ...**

**აქედან დავასკვენი, „ესენი“ (ჩვენი სამთავრობო თუ არასამთავრობო ნეოლიბერალები) ახლავე ემზადებიან-მეთქი სრულიად მსოფლიო ლგბტ-პედერასტების „დღესასწაულის“, ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც „ღირსეულად“ აღნიშვნისთვის.**

დიახ, ბოლოს და ბოლოს, რადგან „ისინი“ (ჩვენი ლიბერასტების პატრონ-დამფინანსებლები), რომლებმაც პრაქტიკულად მოათავეს დასავლეთში ერთსქესიანი ქორწინებების კულტივირება-პედერასტიზაცია, ახლა ისეთი „წვრილმანების“ ლეგალიზაციაზე მუშაობენ (და არცთუ წარუმატებლად), როგორიც პედოფილია-ინცესტია, გაურჩებული საქართველოსგან პირველ ეტაპზე გეიპარადის ჩატარებას ითხოვენ, როგორც ერთ-ერთ წინაპირობას ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა! მერე კი მეორე და მესამე ეტაპების ჯერიც მოვა და... ერთ დროს მართლაც პურიტანულ-კონსერვატული ევროპა-ამერიკის მსგავსად, ქართულ ცნობიერებასაც, მრავალსაუკუნოვან ცხოვრების წესს, ოჯახის ინსტიტუტს, ეროვნულ, ისტორიულ ტრადიციებს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრება!..

**თუმცა, 17 მაისისთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ღონისძიება თუ ქართველ პედერასტებზე მხატვრული ფილმის გადაღება იქნებოდა, არ მეგონა — ასეთ „ნაგლობას“ ამათგანაც არ ველოდი! ეს „სასიხარულო ამბავი“ ნანუკა ხაზარაძემ TV-იმედის (აფსუს, ბადრი პატარკაციშვილო, ლიბერასტების ბუნაგად აქცია შენმა ოჯახმა ერთ დროს მართლაც ეროვნული ტელევიზია?) ე.წ. დღის შოუში მიწვეული მომავალი ფილმის პროდიუსერის დავით ბეჟიტაშვილის პირით გვამცნო, რომელმაც, ფილმი კომედიურია (ფილმის პედერასტი გმირები მეგრელი და კახელი არიან), ბევრს იცინებთო და რეჟისორის ოთარ მიქელაძის (მართლაც გვარიშვილობის საკადრისი საქციელია) ვინაობაც გაგვიმხილა, მაგრამ მთავარი როლების შემსრულებელთა ვინაობა ჯერჯერობით (ალბათ, მათი უსაფრთხოების გამო — დ. მ.) დაგვიმალა.**

ჰო, აბა რა, კომედიის კომუფლაჟში უნდა შეფუთო აშკარა სულიერი დივერსია, რათა, ბიძინასი არ იყოს, იუმორით შევხედოთ გარყვნილების, მომაკვდინებელი ცოდვის აშკარა პროპაგანდას. თანაც კომედიას უფრო ადვილად არ დაადებ ასაკობრივ შეზღუდვებს და ჩვენი არასრულწლოვანი შვილებიც განათლდებიან ამ კინოხელოვნების შედევრით...

რატომ მაინცდამაინც მეგრელი და კახელი? ამაზე დიდხანს ვიფიქრე და ბოლოს ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა გია იაკობაშვილმა „გამინათა“ გონება — ააა, ტრაპიზონიდან დარუბანდამდე უნდათ პედერასტების გახარებაო...

**და ყველაზე მთავარი — ფილმის გადაღება თებერვლის ბოლოს უნდა დაიწყოს და პრემიერა უკვე დანიშნულია 17 მაისს, კინოთეატრ „რუსთაველში“ — რა არის ეს, თუ არა პირდაპირი პროვოკაცია, თავხედური გამოწვევა ქართველი ხალხისა?** ფილმის ავტორებმა და, უწინარესად, მათმა დამფინანსებლებმა ხომ იციან, რომ პრემიერა, რაც მცირე უექსცესებოდ ვერ ჩაივლის, რადგან „უწყინარ კომედიაზე“ სიცილის მოყვარულებზე ბევრად მეტნი, პრემიერას ტრაგედიად რომ ალიქვამთ, სატირალს რომ ვიგრძნობთ, ის ხალხი ვართ და უფრო მძიმე შედეგებიც, ფიზიკური დაპირისპირების ჩათვლით, არ გამოირიცხება!

იციან და ძალიან კარგადაც, რაშიც ნანუკას კიდევ ერთმა ბლანჟეცმაცუნა სტუმარმა, ლგბტ სექტანტთა ცნობილმა დამცველმა ვახუშტი მენაბდემაც დამარწმუნა, რომელმაც პირდაპირ მოითხოვა ხელისუფლებისგან მომავალი 17 მაისის „ღირსეულად“ ჩატარების უზრუნველყოფა, თუნდაც ამისთვის რეპრესიებიც (ზუსტად ასე ბრძანა — **დ.მ.**) გახდეს საჭიროო...

**აშკარად მომავალი 17 მაისის „ღირსეულად“ აღნიშვნას ემსახურება მამა იოთამის გაჭიანურებული სასამართლო პროცესიც. ეს ის ბერმონაზონია, რომელსაც აგვისტოს ომის დროს ჩვენს პატრიარქთან ერთად ფრონტის ხაზიდან გამოჰქონდა ქართველების უპატრონოდ მიყრილი გვამები...**

**ეს ისე, ცნობისათვის და მავანთა საყურადღებოდ, ვინც მამა იოთამს მხოლოდ „ტაბურეტკასთან“ აიგივებს!**

გაჭიანურების მიზეზი კი, ალბათ, ის არის, რომ, ერთი მხრივ, სასამართლო აშკარა ზეწოლას განიცდის დიპკორპუსისგან, რომლის წარმომადგენლები ყველა პროცესს ესწრებიან, რათა მოსამართლემ საკადრისი მიუზღოს „ტაბურეტკიან მღვდელს“ და, მეორე მხრივ, მოსამართლე აცნობიერებს, რომ პროცესი, ფაქტობრივად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულად აღიქმება ქართველი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ერთობ სარისკოა!

თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჭიკაიძის არ იყოს, არც მოსამართლე დავით მგელიაშვილს ეხატება გულზე ლგბტ-პედერასტები და არა მხოლოდ რისკის გათვალისწინებით, არამედ რწმენის გამო მიჰყავს პროცესი ღირსეულად. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასეა, რასაც ვერ ვიტყვით პროკურორებზე, რომლებიც „დაზარალებულ“ ბუდარა-ბუდარიხებს ტოლს არ უდებენ დამსწრე საზოგადოების პროვოცირების, შეურაცხყოფის ხელოვნებაში!..

**აქედან გამომდინარე, სასურველად მიმაჩნია, რომ პროცესის მიმდინარეობისას, თუნდაც სასამართლოს ეზოში ბევრად მეტი სასულიერო პირი იყოს მობილიზებული საკუთარ მრევლთან ერთად, რათა, ერთი მხრივ, დასავლელი დიპკორპუსის ხლისტების ზეწოლის საპირწონე დავაფიქსიროთ და, მეორე მხრივ, მოსამართლე მგელიაშვილის ჯერჯერობითი „მგლობა“ გარანტირებულ მუდმივობად დავიგულოთ, ხოლო, ჩვენს „დაზარალებულ ქათმებს“ თუ მათ აპოლოგეტებს, რომლებიც ასობით არიან და ჩვენებებს იძლევიან, თავხედური კრიახისა და აპლომბის ხალისი დავუკარგოთ!**

ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში, სავარაუდოდ, 17 მაისისთვის სასამართლო პროცესი უნდა დასრულდეს და თანაც ჩვენი დასავლელი „მეგობრებისთვის“ მისაღებ-მოსაწონი განაჩენით. თუნდაც ამიტომ სასურველი კი არა, ჩემი აზრით აუცილებელია, რომ ქართულმა ეკლესიამ ახლავე გამოხატოს საკუთარი მკვეთრი პოზიცია მიმდინარე სასამართლო პროცესის, აგრეთვე, ხსენებული მომავალი ფილმის პროვოკაციულად დაანონსებული პრემიერის მიმართ, რათა გაზაფხულზე გამოჩეკილი ლგბტ გველის წიწილები მაისის მზეზე მისაფიცხებლად რუსთაველზე რომ გამოსრიალდებიან, შარშანდელივით „ტაბურეტკებით“ არ ვირბინოთ ერმა და ბერმა.

დიახ, ეკლესიას და მხოლოდ მას აქვს უფლებაც, და უფრო მეტიც, მოვალეობაც, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ეკლესია და პატრიარქია (თუნდაც ივანიშვილის მიერ დამუნათებული და ნაკლოვანებებით სავსე) ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი ქართველი ხალხისა მსოფლიო მასონ-ხლისტების ტოტალური მოძალების ჟამს!

**მოდით, წერილის ბოლოს ერთად გავიხსენოთ ლგბტ-პედერასტების აღლუმების გამართვის მცდელობების დინამიკა საქართველოში.**

**პირველად 2011 წლის 17 მაისს, ანუ მიშას გაგანია ზეობის ჟამს, გამოსრიალდნენ ლგბტ-გველები რუსთაველზე და მათ ალაგმვას, უტრირებულად თუ ვიტყვით, ერთი ორი მამაო, სოსო მანჯავიძის „მამაშვილური“ ალიყური და თქვენი მონა-მორჩილის გინება ეყო.**

**მეორედ შარშან სცადეს გამოსრიალება იგივე დროს და იგივე ადგილას და უკვე ლამის მთელი ერი და ბერი აღუდგა სოდომისტების პარადს წინ.**

ორივე შემთხვევაში ქვეყნის ძალოვანები, ფარულად თუ აშკარად, კაცების საქართველოს მხარეს იყვნენ და არა ქათმებისა — რას იზამ, თვით მიშას პოლიციამაც არ იკადრა ქათმების გულისთვის კაცებზე ხელის (დუბინკის) აწევა...

რა იქნება „ხვალ“, ამას 17 მაისს ვნახავთ — რას იზამს პოლიცია, პედერასტების გულისთვის კაცებს დაგვერევა თუ კიდევ უკეთესი, ალასანიას უწყებას დაიხმარენ და ჯარის ისეთ კორდონს გაუკეთებენ პედერასტებს, რომ ახლოსაც ვერავინ მიეკარებათ.

ორივე შემთხვევაში მე ისეთ საქართველოში აღარ მინდა ცხოვრება, სადაც პედერასტების პარადები უპრობლემოდ ჩატარდება!

ამ ყველაფერში დამნაშავე და პასუხისმგებელი კი, უწინარესად, ევროპა-ამერიკა იქნებიან, ისევე, როგორც უკვე არიან ზოგადად 9-წლიანი კოშმარის და კონკრეტულად 7 ნოემბრის, 26 მაისის სასაკლაოს გამო, რაზედაც ხმა არ გაუღიათ და ახლა უნამუსოდ სხედან პედერასტების სასამართლო პროცესზე...

**დავით მხეიძე.**

**P. S. ისე პრემიერები საპატიო სტუმრების გარეშე ვინ თქვა და, დიპკორპუსი რომ მივა ქართველ პედერასტებთან სოლიდარობისთვის ნაღდია და, ვნახოთ, ხელისუფლებიდან ვის მიიწვევენ და ვინ მივა რუსთაველში კომედიაზე სალღიცინოდ?**

**ისე, პრემიერის ალაფურშეტზე „შიკალადნი“ ფალოსის ტორტიც იქნებაო, ამბობენ...**

**დ. მ.**

### ◎ ალიან-ჩალიანი

## კრწანისში ახალი საწარმოები გაიხსნა

**სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა გიორგი მღებრიშვილმა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხეიძემ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში შპს „საბუდარას“ ახალი ინკუბატორი და საკვების მოსამზადებელი საწარმო გახსნეს. საწარმოს დაფინანსება სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში განხორციელდა.**

**შპს „საბუდარამ“, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 535 ათასი დოლარის ოდენობის თანხა მიიღო. აღებული კრედიტით კომპანიამ სოფელ კრწანისში ინკუბატორისა და საკვების მოსამზადებელი საწარმოს მშენებლობა დაასრულა და ახალი მიმართულებით საქმიანობა — მარცვლეულის გადამუშავება დაიწყო. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ განაცხადა, კომპლექსური სამუშაოების ჩატარების შედეგად შპს „საბუდარას“ საშუალება მიეცა ადგილზე გადამუშავებული მარცვლეულით, საკუთარი საწარმოს გარდა, 200-მდე მეწარმეც მოამარაგოს.**

**საწარმოს აქვს 2000-ტონიანი საცავი და წისქვილი, ამის გარდა, პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი დანადგარების, ინკუბატორისა და სამი საჩეკის დამატება 77 ათას ერთეულ საინკუბაციო კვერცხზე. მოგეხსენებათ, რომ საინკუბაციო კვერცხი იყო საიმპორტო პროდუქცია, თუმცა, დღეს საწარმო აწარმოებს ამ კვერცხს, როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე მოახდენს მის ექსპორტს. სააწარმო ასევე შეძლებს, რომ საკვები 200-მდე მეფრინველე მცირე და საშუალო მეწარმე მოამარაგოს აქ წარმოებული ფრინველის საკვებით.**

**ქვემო ქართლის გუბერნატორის გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, შპს „საბუდარაში“ დამატებით 16 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა და წარმოების გაზრდის შემთხვევაში, სამუშაო ადგილების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.**

**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის განხორციელება 2013 წლის 27 მარტიდან დაიწყო. 2014 წლის 17 თებერვლის მონაცემებით 264 167 099 ლარის ოდენობის კრედიტია გაცემული.**

**პროექტის ფარგლებში დაფინანსებული 409 საწარმოდან, 63 ახალი საწარმო შეიქმნა, დანარჩენის გადაიარაღება, გაფართოება და წარმოების გაზრდის ხელშეწყობა განხორციელდა.**

**ინტერპრესი**

# სოჭი პეკინის ჭრილობებს აშუშებს

## რუსეთი თბილისთან კავშირების განახლებას გეგმავს

**ექვსი წლის წინათ, პეკინის ოლიმპიადის პირველსავე დღეს რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მსვლელობისას მეზობლები ნაკლებად მტრულად ექცევიან ერთმანეთს.**

**საქართველოს მთავრობა ცდილობს 45 მილიოდოლარად შეფასებული ზამთრის ოლიმპიადა რუსეთთან კავშირის აღსადგენად გამოიყენოს. 7 თებერვლის გახსნის ცერემონიალიდან 4 დღის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ის მზადაა ჩრდილოელ მეზობელთან პირდაპირი დიალოგისთვის. სოჭი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული იმ რეგიონებიდან, რომელმაც 2008 წლის ომი გამოიწვია.**

**„სოჭი იდეალური შესაძლებლობაა ჩვენი მთავრობისთვის, რათა დაამტკიცოს, რომ ჩვენი მისწრაფებები — გავაუმჯობესოთ და დავასტაბილუროთ რუსეთთან ურთიერთობა, ლიტონი სიტყვები როდია“, გვითხრა პაატა ზაქარეიშვილმა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში და დასძინა „საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს ოლიმპიადის მშვიდობიანად და წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფაში.“**



ოლიმპიადის მისამართით მუსლიმი მეამბოხეების ტერორისტული მუქარების ფონზე, ეს ორი ქვეყანა თავიანთ საზღვრებზე უსაფრთხოების და წესრიგის კონტროლს აძლიერებს. რეგიონში მომხდარი ორი ომის შემდეგ, რუსეთმა და საქართველომ საერთო ინტერესებს აქ მიაკვლიეს, ასევე მეტ-ნაკლებად „იხსნება“ ვაჭრობისა და საჰაერო მიმოსვლის სფეროც.

**ყინულის დნობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებით დაიწყო, რომლის ქონებაც „ბლუმბერგის“ მილიარდელების რეიტინგში 5.6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ივანიშვილმა, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში იშოვა, პირობა დადო, რომ რუსეთთან კავშირებს აღადგენდა.**

2013 წელს რუსეთმა ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყალზე (რაც ქვეყნის ორ ყველაზე პოპულარულ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს) შვიდწლიანი ემბარგო მოხსნა. აგვისტოში საავტომობილო კავშირიც აღდგა.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ავიახაზებმა ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველი 450-კილომეტრიანი (280 მილი) თბილისი-სოჭის რეისი განახორციელა. ოლიმპიადის განმავლობაში ამ მარშრუტს 6 ჩარტერული რეისი ემსახურება.

გარდა ამისა, რუსეთმა და საქართველომ 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრისათვის (რომელიც ოლიმპიადის ბოლო დღეს 26 თებერვალს იმართება) ჯგუფში ერთად თამაშის შესაძლებლობაც დაუშვეს.

* * *

**როგორც პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სოჭში, 10 თებერვლის შეხვედრაზე განაცხადა, რუსეთს იმედი აქვს, რომ საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას აღადგენს, რაც ერთ-ერთი „პრერეკვიზიტია საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენის საკითხში“.**

**„ძალიან მინდა, რომ გარდასული წლების ტრაგედიები რაც შეიძლება მალე მიეცეს დავიწყებას“, განაცხადა პუტინმა — „ჩვენ გვესმის, რომ ეს იოლი პროცესი ვერ იქნება, მაგრამ რუსეთის მთავრობა მიესალმება საქართველოსთან კავშირის აღსადგენად განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებს“.**

...2008 წლის პეკინის ოლიმპიადის დაწყებისას, პუტინმა, რომელსაც მაშინ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, მაშინდელ ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს აცნობა, რომ „ომი დაიწყო.“

კრემლმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ჯარი გააგზავნა, რომელსაც, მათი სიტყვებით, ქართული სეპარატისტული რესპუბლიკები სამთავრობო ჯარებისაგან უნდა დაეცვა. ზავის მომენტისათვის, ქართული ჯარი უკვე განდევნილი იყო ორივე ტერიტორიიდან, ხოლო რუსეთს ფოთის პორტი და ქალაქი გორი ჰქონდა ოკუპირებული.

**...2008 წლის დასასრულს რუსეთმა ორივე ტერიტორია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და მათ საზღვრებთან ჯარი განათავსა.**

2010 წელს, სააკაშვილის პრეზიდენტობისას, რუსული ჯარის მიერ სეპარატისტული რეგიონებიდან არგასვლის შემთხვევაში საქართველო სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტით დაიმუქრა. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ოლიმპიადაზე ქართველების გამგზავრების გაპროტესტების ფონზე თამაშებზე ოთხი ქართველი ასპარეზობს: სამი მოთხილამურე და ერთი მოციგურავე. სამთავრობო დელეგაცია ოლიმპიადაზე არ გაემგზავრა.

პუტინმა დეკემბერში განაცხადა, რომ „მისი პირადი დამოკიდებულება საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ შეიცვალა“ და რომ რუსეთი უვიზო რეჟიმის აღდგენაზე იფიქრებდა.

**„ჩვენ ვხედავთ სიგნალებს, რომელსაც საქართველოს ახალი მთავრობა გვიგზავნის“,** — განაცხადა პუტინმა.

ივანიშვილის მიერ (რომელიც ერთი წელიწადი იყო პრემიერ-მინისტრი) დანიშნულმა ღარიბაშვილმა 11 თებერვალს ტელეარხ „იმედზე“ განაცხადა, რომ „მზადაა“ რუსეთის მმართველებთან დიალოგის დასაწყებად. 12 თებერვალს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარებში მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აცხადებს, რუსი და ქართველი დიპლომატები მომავალი თვის დასაწყისში ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრას განიხილავენ.

* * *

წინა თვეში საქართველოს პრემიერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა სპორტს და პოლიტიკას ერთმანეთში არ აურევდა. მან აღნიშნა, რომ არანაირ საპროტესტო ქმედებებს არ გეგმავდა რუსული მედიისა და მთავრობის წინააღმდეგ მათ მიერ აფხაზეთის (რომლის საზღვარიც მხოლოდ 10 კილომეტრშია დაშორებული ადლერს, ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების ადგილს) დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარების გამო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, ქართულმა მხარემ საზღვრები აღადგინა და ოლიმპიადის მსვლელობისას საზოგადო თავშეყრის ადგილების მონიტორინგს ახდენს.

საქართველომ დაიჩივლა, რომ რუსეთი „უკანონოდ“ აფართოებდა უსაფრთხოების ზონას ოლიმპიური მშენებლობების გარშემო და საზღვრებს უფრო ღრმად სწევდა აფხაზეთის ტერიტორიის შიგნით. რუსეთი იმ ერთი მუჭა ქვეყნების ჩამონათვალში შედის, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

**„ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას“, განაცხადა ღარიბაშვილმა 23 თებერვალს დავოსში — „ბაზრის გახსნის შემდეგ ექსპორტი გასამმაგდა. ჩვენ ამას მივესალმებით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, უამრავი სირთულისა და პროვოკაციის დაძლევა გვიწევს საზღვრებთან მიმართებაში“**

* * *

**რუსეთი ინარჩუნებს სამხედრო ბაზებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ აღიარებს სამხრეთ ოსეთს, მისი პრეზიდენტი იმ 40 ლიდერთა შორის გახლდათ, ვინც ოლიმპიადის გახსნა დაესწრო.**

ზურაბ აბაშიძემ, საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, 3 თებერვალს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სოჭში სპორტსმენების გაგზავნით საქართველოს მთავრობამ ძალიან რთული გადაწყვეტილება მიიღო, იცოდა რა ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ.

ოპოზიციის ლიდერებისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას აზრით, მთავრობამ ნაციონალური პრიორიტეტების დანახვის უნარი დაკარგა.

**„როგორც ვხედავთ, საქართველოს ოკუპაციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას“, განაცხადა ბოკერიამ, „რუსეთის პოლიტიკა ნათლად ჩანს სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში და ის უცვლელია: აღადგინონ და გააძლიერონ გავლენა ამ ქვეყნებზე, დაასუსტონ ისინი და გაანადგურონ მათი სახელმწიფოებრიობა“.**

**იმის მიუხედავად, შეცვლის თუ არა შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯები ურთიერთობას ამ ორ მეზობელს შორის, ამ ნაბიჯებს ემხრობა მილიარდერი ივანიშვილიც, რომელიც საქართველოს ევროკავშირში შესვლასაც მიესალმება.**

**„საქართველოს ევროკავშირისაკენ სვლას ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ჩვენ ჩვენს მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობები და ოლიმპიადა საუკეთესო გზაა ამისათვის“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

**ელენა ბედველი**

Bloomberg

---

◉ დედაქალაქის მერიის საყურადღებოდ!

# გაგვაგებინეთ, სად დავდივართ — „პროსპექტზე“ თუ „გამზირზე“?

დავწერე ათასჯერ, ვწერ ათასმეერთედ, იმის შესახებ, რომ პატივცემული ქალაქის მერია დედაქალაქის ქუჩების (ცენტრალური ქუჩების, თორემ „მეორეხარისხოვნებს“ ვინღა დაეძებს) სახელწოდებების წარწერებს, უკაცრაული პასუხია და, ფეხებზე იკიდებს! „პლეხანოვის“ განახლება რომ დამთავრდა, ფირნიშებზე, ზოგან, უბოდიშოდ მიაწერეს — **„დ. აღმაშენებლის გამზირი“**. წაიკითხა ვინმემ ჩვენი შენიშვნა, რომ პატივი გვეცა მეფეთ მეფისთვის და გაგვეშალა მისი სახელი?! დღემდეა დარჩენილი — **„დ. აღმაშენებლის გამზირი“**. ხალხო, შეიძლება ფირნიშზე ეწეროს **„ქ. წამებულის გამზირი?!“** პატივცემულო მერიის წარმომადგენლებო, დაუჯერებელი გგონიათ? მიბრძანდით ისნის რაიონში და გადაამოწმეთ!

ახლა იმის გამო, თუ რატომ მივუბრუნდი ამ არც თუ წვრილმან თემას „ათასმეერთედ“: კი, სულმნათი ლადო ასათიანი ამბობდა: „რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმაო“, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ახლა ამჯობინებენ სიტყვა — „გამზირს“.

კეთილი და პატიოსანი, ქართული ენის ნორმების დამდგენ კომისიას წინ ვინ დაუდგება?.. ვინ დაუდგება და, ისევ და ისევ, ქალაქის მერია! რუსთაველზე, ოპერის გვერდით, ვასო აბაშიძის ქუჩის დასაწყისში, ამ ორი წლის წინათ, საცხოვრებელი რომ დაიწვა და უკვე, თითქმის განახლებულია, რუსთაველის მხრიდან ყვითელი ფირნიში მიუკრავთ: **„რუსთაველის პრ“**. იქვე გვერდითა შენობას კი აწერია **„რუსთაველის გამზირი“**. გამაგებინეთ, დედაქალაქის მერიის მესვეურნო! სად დავდივართ, ბოლოს და ბოლოს, **„გამზირზე“** თუ **„პროსპექტზე?!“** არა მგონია, ეს ჩვენი რეპლიკა მერიაში წაიკითხონ, ხოლო, თუ წაიკითხავენ, დარწმუნებული ვარ, ირონიულად ჩაილაპარაკებენ — „მეტი საქმე არა გაქვს, ბიძია, შენ?!“

არა მაქვს! კიდევ დავწერ, თუ ამით საქმეს რაიმე ეშველება! უგულისყურობამ და დაუდევრობამ სადამდე მიგვიყვანა, ქვეყანა ხედავს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

◉ ალიან-ჩალიანი

## შსს-ს გასამხედროებული ნაწილის თანამშრომლებისთვის არჩევნებში მონაწილეობის წესი იცვლება



**შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებული ნაწილის თანამშრომელი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს , თუ მისი დისლოკაციის ადგილი და საცხოვრებელი ადგილის რეგისტაციის მისამართი სხვადასხვა საარჩევნო ოლქში იქნება.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებული ნაწილის თანამშრომელთა არჩევნებში მონაწილეობაზე დაახლოებით ისეთივე წესი გავრცელდება, რაც თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებისთვის გამოიყენება. „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილ ამ ცვლილებაზე იურიდიულ საკითხთა და რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ ისაუბრა.**

**ინტერპრესი**

## ფარმაცევტული ბაზარი



# აკი წამლები გაიაფდაო?!

**სამოცდაათს გადაცილებულები წყალსაც წაუღიხართო!**

ამ ჩვენს მყვირალა სატელევიზიო რეკლამებს თუ დავუჯერებთ, ან კიდევ ღია ეთერით მმოძღვრავ სამკურნალწამლო დარგის ცალკეულ თავკაცებს, ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე თურმე ისეთი სალ-სალამათი კონკურენციაა გაჩაღებული, რომ მედიკამენტებზე აქა-იქ შემორჩენილი მაღალი ფასებიც კი სულ პანტა-პუნტით ცვივა. ამაზე მიგვანიშნებენ აფთიაქების მიმზიდველად „მოლაპარაკე“ ვიტრინებიც, რომლებიც ცხოვრებით „დალხენილ“ მოსახლეობას „აქციებად“ მონათლულ დღეებში მედიკამენტებს დიდი ფასდაკლებით სთავაზობენ. ერთ-ერთ ასეთ აფიაქში, სადაც ამ ორი დღის წინათ წამლების საყიდლად შევედი, არც თუ სასიამოვნო სურათს გადავაწყდი.

— შვილო! — მიმართავს ხელჯოხზე დაყრდნობილი თეთრწვერა მოხუცი თეთრხალათიან ქერა ქალბატონს, — რა ღირს თქვენთან „ომნიკ ოკასი“!

— ახლავე, ბაბუ, — ხალისიანად პასუხობს აფთიაქარი, თან კომპიუტერს შესცქერის, — მთლიანი კოლოფი, რომელშიც 30 აბია, 63 ლარი და 70 თერთი ღირს.

— მაგდენი, კაცო? — გაკვირვებას ვერ მალავს მოხუცი, — ნახევარი პენსია მარტო ერთ წამალში რომ მივცე, თქვე დალოცვილებო, პური რიღათი ვჭამო!

— აბა რა გითხრათ, ბაბუ, წამალს ფასს მე ხომ არ ვადებ, — თავს იმართლებს თეთრხალათიანი, — რაც კომპიუტერში ამოვიკითხე, იმას გეუბნებით.

— ათი აბი რო ვიყიდო, რამდენი დამიჯდება? — ცდილობს გაჭირვებიდან გამოძრომას პენსიონერი.

— ათ აბს 21 ლარი და 25 თეთრი დასჭირდება.

— მე კი 20 ლარზე მეტი არა მაქვს, — წუხს მოხუცი, — ამ ფასად ამ ორი კვირის წინათ თქვენს გვერდით მდებარე აფთიაქიდან „ომნიკ ოკასის“ 10 აბთან ერთად თითო ფირფიტა „სენადე“ და „კორსიზიც“ მომცეს.

— მაშინ ჩვენთანაც მაგდენივე ღირდა, ბაბუ, — უხსნის ქერა ფარმაცევტი მოხუცს, — მაგრამ ამ დღეებში წამლებზე ფასებმა უმნიშვნელოდ მოიმატა.

— ჰო, ამ უმნიშვნელო მატებამ იმდენი ქნა, რომ ადრინდელი 42-ლარიანი „ომნიკ ოკასი“ ახლა 63-ლარიანი გახადა. დავიჯერო, იმ უცხოეთში, საიდანაც ეს წამალი შემოდის, ფასმა მთელი 30 პროცენტით მოიმატა?

— იქ არა, მაგრამ აქ რო პენსიამ მოიმატა? — „იხუმრა“ რომელიღაც გრძელცხვირა მომხმარებელმა.

— კაცო, მე 25 ლარი მომიმატეს და წამლები და პროდუქტები 50-ით გამიძვირეს? — განერვიულდა თეთრწვერა, — ბოლოს და ბოლოს ნამუსი აღარ არი! დღეს პენსიონერ მამაკაცთა 80 პროცენტზე მეტი ამ წამლითა ცოცხლობს და თუ ვერ შევიძინეთ, რაღა უწამლობას მოვუკვლივართ და რაღა შიმშილს.

— მართალია ეს კაცი, — გამოეხმაურა გრძელცხვირა, — ეგ ჩვენი პირველი ფინანსისტი ხადური დიდის ამბით რომ გვაიმედებდა, ლარის პატარ-პატარა რყევებმა არ შეგაშინოთ, ეგ მაგისთვის ცხვირის დაცემინებასავით არის და სულ მალე გაუვლისო, ხო ვნახეთ, რა დამცხიკვებადაც დაგვიჯდა. ლარის უცაბედმა „გაციებამ“ წამალიც გაგვიძვირა, კარტოფილიც, ხილიც და უამრავი სხვა პროდუქტიც.

— მაგან ადრეც მოგვატყუა, როცა პენსია რეალური საარსებო მინიმუმის (230-250 ლარი) ნაცვლად ნაცების ნაანგარიშები საარსებო მინიმუმის (145 ლარი) მიხედვით გაგვიზარდა და ახლაც, როცა გვარწმუნებდა, ლარის რყევები ჩვენს ეკონომიკას კენჭსაც ვერ ააგდებინებსო. ტყუილს მოკლე ფეხები რომ ჰქონდა, ადრევე ვიცოდი, მაგრამ ხადურივით ფუმფულა ლოყებიც თუ ამშვენებდა, ეს აღარ მეგონა.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ არ მიაკითხეთ იმ „გვერდით აფთიაქს“, სადაც ადრე შეიძინეთ წამალი, იქნებ იქ არ გაუძვირებიათ? — ვცადე თეთრწვერა პენსიონერის დამშვიდება.

— „ფარმადეპოზე“ მეუბნებით? როგორ არ მივაკითხე, მაგრამ იქაც იმავე ფასში ყიდიან. ვითომ არ იცოდეთ, რა მამაძაღლებიც არიან (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის), ჩვენ გვაბოლებენ, კონკურენტები ვართო, სინამდვილეში კი ერთმანეთს ფასების მომატებაში ეჯიბრებიან.

მართალია პენსიონერი. დედაქალაქის ფარმაცევტულ ბაზარზე ამ ხუთიოდე წლის წინათ „ფარმადეპოს“ სახელით შემოსულმა აფთიაქმა წამლების 25-30 პროცენტის ფასდაკლებით გაყიდვა რომ დაიწყო, ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. იმხანად, ვინც კი ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიდა (ასეთი კი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტია), ყველა იმ აფთიაქს მიაწყდა. მაგრამ განვლო, ცოტა დრომ და „ფარმადეპოების“ გვერდით სოკოებივით იბარტყეს „ფარმაცენტრებმა“, რომლებმაც ვითომ კონკურენციის მოტივით, წამლებზე ფასები დროებით დასწიეს.

როგორი კონკურენტებიც არიან ისინი, ვაჟა-ფშაველას 6 ნომერში ერთმანეთის გვერდიგვერდ მომუშავე „ფარმადეპოსა“ და „ფარმაცენტრის“ ნაღვაწიდანაც მშვენივრად ჩანს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ კონკურენციას გარიგება ამჯობინეს და დეზერტირის ბაზარში მომუშავე გადამყიდველებივით, ფასებზე წინასწარ შეთანხმდნენ. მათ მიემატნენ სადაზღვევო კომპანიები და ფარმაცევტულ ბაზარზე როგორც მოეპრიანებათ და რაც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ.

— ჰო მართლა, — მივუტრიალდი აფთიაქიდან ხელმოცარულად გამავალ თეთრწვერას, — დაზღვეული რომ ხართ, წამლებს შეღავათიან ფასში არ გაძლევენ?

— კი, როგორ არა, მაგრამ მზღვეველი იხდის იმ წამლების საფასურის ნახევარს, რომლებსაც თავად არჩევს და არა იმას, რომლებიც მე მჭირდება სამკურნალოდ. ექიმს რომ ვთხოვე, მაგალითად, „ომნიკ ოკასი“ შეღავათიან ფასში გამოეწერა, გაეცინა: მაგ წამალს შეღავათიან ფასში ვინ მოგცემს, ერთი კოლოფის ფასი 60 ლარს აჭარბებსო. ვერც არტერიული წნევის მარეგულირებელ წამლებში „აღმოაჩინა“ ის პრეპარატი მე რომ ვმკურნალობ. კიდევ კარგი იმ საძრახის კომუნისტურ ხანაში რაღაც დანაზოგი დავაგროვე, თორემ ახლა ან უწამლობა მომკლავდა ან შიმშილი.

— გული არ გაიტეხოთ, — გავამხნევე ბერიკაცი, — ახალი მთავრობის პროგრამა მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული და მალე ცხოვრება უკეთესობისკენ წავა.

— ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ ამ ორი დღის წინათ ისეთ ამბავს გადავაწყდი, რომ გითხრათ, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

— რას გულისხმოთ?

— ტელევიზორით ალბათ თქვენც ხშირად მოგისმენიათ, ეროვნული სკრინინგ ცენტრი კიბოს დაავადებისგან თავის დასაზღვევად უფასო გამოკვლევებს აწარმოებს, ნუ დაიზარებთ, მობრძანდით და სისხლის ანალიზი გაიკეთეთო. ვიფიქრე, მართალია 80 წელს გადავაბიჯე, მაგრამ გამოკვლევა მეც არ მაწყენს-მეთქი და სკრინინგ ცენტრს მივაკითხე.

თეთრხალათიანმა ქალბატონმა პირადობის მოწმობა მომთხოვა, დაბადების წელს დახედა და ზრდილობიანად განმიცხადა: კი ბატონო, ანალიზს ახლავე გაგიკეთებთ, ოღონდ 25 ლარის გადახდა მოგიწევთ.

— რატომ? — შევიცხადე, — ტელევიზორით რომ აცხადებენ, უფასოაო?

— უფასოა 70 წლამდე მამაკაცებისთვის, თქვენ კი, ბატონო ჩემო, 80-ს გადაცილებული ბრძანდებით.

მოულოდნელმა პასუხმა მყისიერად დამამუნჯა. რა თქმა უნდა, არ შევკამათებივარ, ჯანდაცვის მუშაკმა ისეთი პოსტულატი (ასაკგადამეტება) წამომიყენა, რომ შესაკამათებლად ენა არ მოგიტრიალდება. თუმცა, იმ ქალბატონს რას ვერჩი, რასაც ავალებენ, იმას აკეთებს, მაგრამ როგორც ჩანს, ჯანდაცვის სამინისტრო, პირადად მინისტრი სერგეენკო, ამავე აზრისანი არიან: ამ მთავრობების ხელში კაცმა 70 წელი თუ იცოცხლა, იმას კიბო აღარ შეეყრება ან თუ შეეყარა, ვეღარაფერს დააკლებს. ჰოდა ფინანსურად ხელმოკლე მთავრობამ მათ მკურნალობაზე ფული ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გადაყაროს?!

რაღას ვიტყოდი, გავჩუმდი. თეთრწვერა პენსიონერმა ისეთი მძიმე კითხვა დაუსვა მთავრობასა და ჯანდაცვის სამინისტროს, რომ მასზე პაუხის გასაცემად სერგეენკოს ამპლუაში ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი. ის რაც დღეს მონოპოლისტურ ფარმაცევტულ ბაზარსა და სადაზღვევო სისტემაში ხდება, სააკაშვილის ანტიეროვნული ხელისუფლებისთვის იმდენად „ბუნებრივი“ იყო, რომ პასუხსაც ვერ მოსთხოვდი, მაგრამ იგივე დანაშაულის გამეორებას კოალიციურ



მთავრობას, რომელიც ქვეყანაში სამართლიანობის, მათ შორის სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პირობით მოვიდა, ხალხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აპატიებს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ტურიზმი

# ტურისტს ჯიბეში ფულიც

**დასასვენებლად და სანახავად რომ მიმზიდველი ქვეყანაა საქართველო, ეს ამ ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთხელ დაადასტურა ბრიტანულმა ტურისტულმა პორტალმა „როუ გიდსმა“, რომელმაც პოტენციურ კლიენტებს ვიზიტებისთვის რეკომენდებული ათი ქვეყნის ნუსხა შესთავაზა. ამ სიაში, საქართველოს გარდა ასევე დასახელებულია ეთიოპია, მადაგასკარი, ბრაზილია, თურქეთი, რუანდა, იაპონია, ბულგარეთი, მაკედონია და ფილიპინები.**

სიის მე-5 ნომრად შეტანილი და ცენტრალური აზიის ქვეყნად მოხსენიებული საქართველოს შესახებ, კერძოდ ნათქვამია: **„მასობრივი ტურიზმი საქართველოში ჯერჯერობით გავრცელებული არ არის, მაგრამ ყველაფერი იცვლება. ასე რომ, ჩაბრძანდით საქართველოში ახლავე, რათა საკუთრივ იხილოთ კავკასიის მთების პირველყოფილი სილამაზე, ეწვიოთ თბილისის ისტორიულ დუქნებს, მოინახულოთ შავი ზღვის კურორტი ბათუმი, ყაზბეგი და სვანეთის დიდებული უძველესი ქალაქები“. ასევე აღნიშნულია, რომ „ევროკავშირის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და სამხრეთ აფრიკის მოქალაქეებს, საქართველოში უვიზოდ 360 დღემდე ყოფნა შეუძლიათ“.**

რაც შეეხება ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რეალურ რიცხოვნობას, საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან ქვეყანაში ხუთ მილიონზე მეტი კაცი იყო შემოსული, რაც 134 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ბოლო ხანებში საქართველოში ყველაზე მეტი ხალხი **სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის, მეოთხე ადგილზე კი ამ მხრივ რუსეთის მოქალაქეები არიან.**

ამასთან, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად ტურიზმი იყო გამოცხადებული, რა კურსსაც, გარკვეულწილად, კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავრობაც განაგრძობს. წლების განმავლობაში ექსპერტები ქვეყანაში მისი **განვითარების სტრატეგიის არქონაზე** ლაპარაკობენ, რაც ამ დიდი პოტენციალის მქონე დარგის წარმატებით განვითარებას საგრძნობლად აფერხებს. ყველაზე დიდი ხარვეზი, რასაც სპეციალისტები ერთხმად უსვამენ ხაზს, **ტურიზმის შესახებ გამართული საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, და, როგორც შედეგი, ერთიანი სტრატეგიის უქონლობაა, რაც უსისტემო განვითარებას შეაჩერებდა.**

ამდენად, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტის, ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის წევრის მარინა მეტრეველის აზრით, **მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შეიმუშაოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული დარგის ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული ასპექტები. ტურიზმის განვითარების სტრატეგიამ დარგის განვითარების სწორი ხედვა, ტრადიციების გაგრძელება, მათ ღირებულებათა და მიმართულებათა დამკვიდრება უნდა უზრუნველყოს, რათა ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, რეალურად გახდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი.**

ამასთან, ტურიზმს უდიდესი დატვირთვა აქვს ახალ სამუშაო ადგილთა შექმნის თვალსაზრისითაც, ხოლო თავად ტურისტული ინდუსტრია საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის ყველაზე დინამიურად განვითარებადი სფეროა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ **მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს ტურიზმისთვის სასურველ ქვეყნად წარმოჩენა და მოსახლეობისთვის ასეთად გაცნობა, ჩვენში ამ სფეროს განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა.** ამის განსახორციელებლად კი საჭიროა სახელმწიფოს და, უწინარესად, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს გამუდმებული ზრუნვა საქართველოსა და მისი ტურისტული პროდუქციის მაქსიმალურად ეფექტიან რეკლამირება-

განსჯა

# ეროვნული ხასიათის ჩამოშლა

**ოდითგან ითვლებოდა, ქართველები ლაღი, გულღია, კეთილმოსურნე, ყოველივე მშვენიერის მოტრფიალე, ოპტიმისტი რაინდები არიანო. ამით დაუფარავად ვამაყობდით. მივაჩნივართ კი დღესაც ასეთებად? ალბათ, უკვე აღარ, თუმცა, მოდით, სათქმელს თავიდან მივყვეთ.**

კოოპერაციისა და სოლიდარობის შეგრძნება წმინდა ადამიანური თვისებებია. მართალია, არა ინსტინქტური, მაგრამ იმდენად ზოგადად გააზრებული, რომ ლამისაა არაცნობიერში გადაინაცვლოს., მათ გარეშე ადამიანი ადამიანი აღარ არის. ამ თვისებებმა კაცობრიობის სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური განვითარება — ადამიანის ევოლუცია განაპირობს.

დღეს ჩვენში ეს თვისებები დეგრადირებს, რაც ურთიერთნდობის „ამორეცხვაში" მკაფიოდ ვლინდება. ურთიერთნდობის ზნეობრივი პარამეტრების კრიზისი ადამიანის ყოფის თითქმის ყველა განზომილებაში გვხვდება, იქნება ეს საქმიანი თუ მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობანი. მხოლოდ რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვიყვან:

1.) არც თუ დიდი ხნის წინათ, დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა ქალაქში, უეცრად გარდაცვლილი დედის ერთი ციცქნა მაღაზიის გამო სამ ზრდასრულ, მანამდე ერთმანეთის მოსიყვარულე და-ძმებს შორის სასტიკი მტრობა ჩამოვარდა.

ამ შემთხვევაში უნდობლობის ფაქტორმა მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ურთიერთობებს სძლია და თითქოსდა ურყევ შეგნებაში ნაპრალი გააჩინა, რომელიც, ასე თუ ისე, ამ და-ძმების შთამომავლობაში კვალს დატოვებს. მათ გარშემო არსებულ საზოგადოებაშიც კი ეს შემთხვევა უარყოფით, მაპროვოცირებელ მაგალითად იარსებებს. უნდობლობა პესიმისტურ განწყობაში, ნეგატიურ აზროვნებაში გამოიხატა: „ღვიძლ, უახლოვეს ნათესავებს ვერ ვენდობი...".

2.) საერთო ეროვნულ გამოცდაზე არსებობდა ოთხი კითხვა-პასუხისგან შემდგარი ტესტი, ე.წ. „უნარ-ჩვევები" (სავსებით შესაძლებელია ეს ტესტი დღესაც არსებობდეს): ავტობუსში ამოდიან ხნიერი მამაკაცი, ხნიერი ქალი და ფეხმძიმე ქალი. პასუხების ვარიანტები: კაცს დავუთმობ ადგილს; ხნიერ ქალს დავუთმობ; ფეხმძიმეს დავუთმობ და არავის არ დავუთმობ. სინადვილეში სწორი პასუხი იყო: „არავის არ დავუთმობ", რადგან ბილეთი შევიძინე და ჩემი ადგილი კანონიერად მეკუთვნის.

ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ მთელ თაობაზე იმძლავრა და არჩევანის წინ დააყენა: ან თქვენთვის უჩვეულო, ახალ ზნეობას შეიძენთ, ან ცხოვრებიდან ამოვარდებით — სანატრელი სოციალიზაცია გვერდზე დაგრჩებათ. კაზუისტურ ლოგიკაზე დაფუძნებული „სწორი პასუხი" უზნეო, ფორმალურ, პრიმიტიულ და, ამავე დროს, იოლ, ანუ კომფორტულ პოზიციას სთავაზობდა ახალგაზრდა, ჩამოუყალიბებელ არსებებს. ეს, ნაციონალური მოძრაობის, პირველ მაგალითზე უფრო მზაკვრული და დამანგრეველი სვლაა, ვინაიდან მენტალობის უფრო სიღრმისეულ ფესვებს ეხება — სწორედ იმ საწყის ეროვნულ კოოპერაციას და სოლიდარობას, რომლისგანაც ჩვენი ფსიქოლოგიურ, კულტურულ და ზნეობრივ შეგრძნებათა მთელი კონა ჩამოყალიბდა — ეროვნული მენტალობა.

3.) უკვე რამდენიმე თვეა, რაც საქალაქთაშორისო მატარებლებში (მაგ. თბილისი-ფოთი, ფოთი-თბილისი), გაჩერებები სამ ენაზე ცხადდება: ქართულად, ინგლისურად და... რუსულად(?!).

აქ საქმე გვაქვს კოლაბორაციონისტურად მომართულ გონებასთან. პრინციპულად სულერთია, ეს გადაწყვეტილება იდიოტმა მიიღო თუ არამზადამ, ვინაიდან შედეგის შეფასებაზე ეს არანაირად არ აისახება. სამენოვან გამოცხადებებს მგზავრთა უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს და სწორედ ამაშია ამ ახალი საინფორმაციო სტანდარტის ფსიქოლოგიური მავნებლობა. მაგრამ, მოდით, ჯერ დეტალურად გავერკვეთ: ქართულს არ შევეხები — ამ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია; ინგლისური ენა (მოგვწონს თუ არ მოგვწონს) მსოფლიოში მიღებული საინფორმაციო ენაა; რუსულის ჩართვა კი სრულიად გაუგებარია. თუ ვინმე მოინდომებს და რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების მომსახურების თემას მოიშველიებს, პასუხად ვეტყვი: ამ ლოგიკით სამგზავრო ინფორმაცია სხვა ენებზედაც უნდა ჟღერდეს — ჩინურად, სპარსულად, ჰინდიზე და ა. შ! შესაძლოა, მავანმა რუსეთთან ახალი მოქნილი პოლიტიკით გაამართლოს საქართველოს რკინიგზის ეს „მიგნება". ასეთი ოპონენტებისთვის მხოლოდ ის მეთქმის, რომ მოქნილ პოლიტიკას მლიქვნელური გულმოდგინეობა მხოლოდ ვნებს, ხოლო, რაც უშუალოდ ფსიქოლოგიურ მავნებლობას ეხება, რუსული ენის უადგილო გაჟღერებით, უცხო, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრული სახელმწიფოს ჩვენს ატმოსფეროში „არსებობის" შეპარულად დაფიქსირება მოსახლეობაში არსებულ ვითარებასთან, ბედთან, ეროვნული ღირსების შელახვასთან შეგუების აშკარა მცდელობაა.



აქ, არ შეიძლება ისევ არ დავუბრუნდეთ პოზიტიურ და ნეგატიურ აზროვნებას, ამჯერად უკვე როგორც ქართველი საზოგადოებისთვის მენტალური ცვლილებების თანხლებ მოვლენას. რამდენად ინგრევა ჩვენი ეროვნული ხასიათი? სჭირდება თუ არა მას გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა მისი შველა? ეს სოციოლოგების, ფსიქოლოგებისა და მედიკოსების გადასაწყვეტია. ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა, სერიოზულადაა გამოსარკვევი, საქართველოს მოსახლეობის რა პროცენტს აქვს აშკარად საყურადღებო ცერებრალური ასიმეტრია: ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს მეტად მძაფრი, ინტენსიური აქტივობა, რაც გარემოვლენების ნეგატიურად აღქმას, მათ უფრო სწრაფად დაფიქსირებას, ნეგატიური შეფასებების „წყურვილს" და ქვეცნობიერად მათ ძებნას ნიშნავს.

შესაძლოა, ზოგიერთს კითხვა დაებადოს, რისთვის არის საჭირო ესოდენ „განყენებული" საუბარი და ხომ არ არის ხსენებული პრობლემა მეტისმეტად გაზვიადებული?

მენტალობის ცვლილება რთული, „მრავალწახნაგოვანი" კონფიგურაციის პროცესია. მასში, როგორც მკვეთრი, თვალისმომჭრელი, ისე ფერმკრთალი და თითქოს წვრილმანი სეგმენტები ერთმანეთშია არეული. ამ პროცესის პარადოქსულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი რეალურად სულაც არ ესადაგებიან მათ დასახელებას, შესატყვის მნიშვნელობას. ამრიგად, შედეგობრივადაც ისინი განსხვავებულნი არიან და ერთმანეთში არეულნი. მაგალითად, როგორ მოქმედებს ეროვნულ ხასიათზე ქართული მელოდიურობა და რა გავლენას ახდენს ქართულ მენტალობაზე რეპი? ეს უაღრესად საინტერესო საკითხია და სულაც არ არის გამორიცხული, თუ ტრადიციული მელოდიურობისკენ ზურგის შექცევამ ჩვეული ოჯახური, ზნეობრივი კონსტრუქციების დეფორმაციაში იჩინოს თავი.

მენტალობის დაკნინების პროცესს თუ დავუბრუნდებით, ისიცაა სათქმელი, რომ მასობრივი ნეგატიური აზროვნება, როგორც წესი, ადამიანის არაცნობიერშია. მის ფონზე ადამიანი გაცნობიერებულად იშველიებს კონკრეტულ (ხშირად ეპიზოდურ) ფაქტებს და ქმნის მისთვის გამოსადეგ, ლოგიკურად დასაბუთებულ ჯაჭვს, სინამდვილეში კი მის ნეგატიურ აზროვნებას შეუმჩნევლად დისკომფორტი კვებავს. დისკომფორტს კი სწორედ ახალი გარემო და ამ გარემოში ცხოვრების ახალი წესები აყალიბებენ. როდესაც მენტალობის ცვლილება და სეგმენტთა არეულობა ვახსენე, ნაგულისხმევი ისიც მქონდა, რომ ეს არეულობა ადამიანის არაცნობიერისთვის ნოყიერი ნიადაგია.

არავის ეგონოს რომ მენტალურ ცვლილებებს უარვყოფ ან მათ ომს ვუცხადებ. ქართული მენტალობა მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ ეს ყოველთვის ცივილიზაციური ცვლილებების თანმდევი, ნელი, ორგანულად ამ ცვლილებებთან დაკავშირებული, ევოლუციური პროცესი იყო — ადამიანის შინაგან ცვლილებათა სრულიად ჯანსაღი, უწყვეტი ნაკადი. ამიტომაც არ ქრებოდა ერის თვითმყოფადობა, მისი უნიკალურობა. ამიტომაც ინარჩუნებდა ერი უმთავრეს თვისებებს: კოოპერაციისა და სოლიდარობის უნარს და... გადარჩა კიდეც, შემორჩა კაცობრიობას.

ოცდამეერთე საუკუნეში ცივილიზაციური პროცესი წარმოუდგენლად სწრაფად ვითარდება და ადამიანთა მენტალობაც მეტად სწრაფად იცვლება. პირველ რიგში იცვლება ადამიანის აზროვნება, რაშიც ლომის წილი ინტერნეტს ეკუთვნის. დღეს, მაგალითად, სერიოზული კვლევის საგანი გახდა ნორჩი თაობების განვითარება, მათი აზროვნება... თუმცა, ეს სულ სხვა საუბრის თემაა ... ამიტომ, მოდით, ისევ ჩვენს, ქართული ხასიათის საჭირბოროტო საკითხს დავუბრუნდეთ. ხელოვნური, აჩქარებული, მოუთმენელი ჩარევა, იმპორტირებული მენტალური „კლიშეებით" გატაცება გარემოს ნეგატიურად აღქმის და ნეგატიური აზროვნების სათავე და ერის დეგრადირების მიზეზია. ასეთი გზა ბევრ სხვა ერს გამოუვლია და შედეგად ისტორიასაც ჩაბარებია. დღეს მათზე მხოლოდ ისტორიკოსები, არქეოლოგები და ეთნოგრაფები თუ მსჯელობენ...

დღევანდელ სიტუაციაში ამის შველა-გამოსწორება ორი, თანაბარი მნიშვნელობის გზითაა შესაძლებელი: ერთი მხრივ, ნათელი კონცეფციის სახით **ეროვნული იდეის** ჩამოყალიბება და კანონმდებლობაში სათანადო შესწორება-ცვლილებების შეტანა; მეორე მხრივ განათლების და, პირველ რიგში, **ზოგადი, ფართო დიაპაზონის განათლების** მნიშვნელობის პოპულარიზება. ზოგადი განათლების სახელმძღვანელო ან მეთოლოგიური პროგრამა არ არსებობს და ვერც იარსებებს. ზოგადი განათლება თვითგანათლებაა, როდესაც ადამიანს დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა მართავს. მხოლოდ ზოგადად, ფართოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია სხვა პროფესიას, მისთვის უცხო მეცნიერების პრობლემებს შეეხოს და სახელმწიფოებრივად, კონცეპტუალურად იაზროვნოს.

**სამწუხაროდ, ეროვნული იდეის და ზოგადი ფართო დიაპაზონის განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანები ხელისუფლებისთვის აქტუალური არ არის. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ხელისუფლებას არც აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა. ამრიგად, მას ერის თვითმყოფადობის, თვითგადარჩენის არაფერი გაეგება, ან როგორ უნდა გაეგებოდეს, როდესაც პარლამენტში და მთავრობაში მსხდომთა უმრავლესობა, ფართო განათლების — ინტელექტუალური პოტენციალის თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, „მოიკოჭლებს". ასეთია დღევანდელი რეალობა: სახელმწიფოებრივი, კონცეპტუალური აზროვნების უნარით „ივანიშვილის ბარტყები" ვერ დაიკვეხნიან. და სანამ ამაზე ვსაუბრობთ, ქვეყანაში მრავლდება შური, უნდობლობა, ეგოცენტრიზმი, ვერაგობა, ფარისევლობა, დაუნდობლობა და ყოველი სიბინძურე...**

**მალხაზ ჟვანია**

# უნდა ეღოს...

ზე. ამის მაგალითი მრავლადაა, უწინარესად, ტურისტულად ისეთ მიმზიდველ ქვეყნებში, როგორიცაა, ვთქვათ, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვები, სადაც **სახელმწიფო ეროვნული ტურიზმის პროპაგანდისა და რეკლამისთვის სახსრებს არ იშურებს და, შესაბამისად, უკუგებასაც იღებს.**

გარდა ამისა, მეტად საგულისხმოა სავიზო რეჟიმის შეზღუდვის საკითხი, რაც, ექსპერტთა აზრით, **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით მაქსიმალურად ლიბერალური კი უნდა იყოს, მაგრამ მას, როგორც ეკონომიკის დარგს, სტიმულირების გარდა, გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფაც სჭირდება, თანაც ბიუჯეტის ეფექტიანად და სტაბილურად შევსების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.** აქედან გამომდინარე, ბუნებრივია იმ პირობის დაცვა, რომ იმ პირებს, **ვინც ქვეყანაში ტურისტებად შემოდიან, შესაბამისად სახარჯო ფულიც უნდა ჰქონდეთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ტურიზმის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად მიჩნევა.** ეს, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ მთელ რიგ ქვეყანაში ტურისტად ჩასულ 16 წლის ასაკს გადაცილებულ პირებს ყოფნის ყოველ დღეზე გათვლით ჯიბეზე (გნებავთ, ანგარიშზე) გარკვეული თანხა, ასევე სამედიცინო დაზღვევა და ა.შ. უნდა ჰქონდეთ, რაც მათი გადახდისუნარიანობის გარკვეული გარანტიაა. შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში ყველა მსურველი ტურისტის სტატუსით შესვლას ვერ შეძლებს. ამდენად, **საქართველოსავით პატარა ქვეყნებისთვის მასობრივი ტურიზმის განვითარებას სარგებელზე მეტად ზიანის მოტანა შეუძლია, ამდენად, ამ მხრივაც დარგის სტრატეგიის შემუშავებისას დიდი დაკვირვებაა საჭირო.**

ამასთან, სპეციალისტები ხაზგასმით ლაპარაკობენ ქვეყანაში შემოსული ტურისტების აღრიცხვასთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს შორის განსხვავებაზე და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, წინა პლანზე სააგენტოს კომპეტენციის მიმართ გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამენ. მათივე აზრით, ასევე ეჭვს იწვევს სააგენტოსა და **მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც საქართველოზე ტურიზმის ზეგავლენის საკითხს ეხება. აღნიშნული მონაცემები ყველა ქვეყანაზე ცალ-ცალკე, მათ შორის, ცხადია, საქართველოზე გამოქვეყნდა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 4,5 პროცენტი ტურიზმის წილად მოდის, ხოლო ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მშპ-ში დარგის წილი 6,7 პროცენტის ტოლია.**

დაგვეთანხმდებით, 2,2-პროცენტიანი ცდომილება საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ მისი უგულებელყოფა შეიძლებოდეს, ამდენად, ვფიქრობთ, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში, მით უმეტეს, ზაფხულის საკურორტო სეზონის მოახლოებასთან ერთად, სამუშაო, რომ იტყვიან, თავზე საყრელად აქვთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველოს ექსპრემიერს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ასევე აპირებს დააპატიმროს დეპუტატი გივი თარგამაძე, რომელიც რუსეთში იძებნება**

**საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს ვანო მერაბიშვილს 17 თებერვალს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ იგი მიიჩნია დამნაშავედ მითვისება-დატაცებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის მუხლების შესაბამისად, აგრეთვე, საკუთრების ხელშეუხებელი ნაწილის დატაცებასა და დარღვევაში. მერაბიშვილს ასევე ჩამოართვეს უფლება დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში წლინახევრის განმავლობაში.**

შეგახსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილი — ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა — დააპატიმრეს 2013 წლის 21 მაისს მიხეილ სააკაშვილის პარტიის მომხრეებისთვის ფიქტიური სამუშაო ადგილების შექმნის საქმეზე, აგრეთვე, აგარაკის მითვისებასთან დაკავშირებით შავი ზღვის სანაპიროზე და მისი რემონტის გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯით.

ამას გარდა, მერაბიშვილს წაუყენეს ბრალდებები 2011 წლის 26 მაისის ანტისამთავრობო დემონსტრაციის დაშლასთან დაკავშირებით, როდესაც დაიღუპა ორი კაცი, და სამართალდაცვის ორგანოების მიერ თბილისში მცხოვრები სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე 2006 წელს. მოსმენები ამ საქმეებთან დაკავშირებით მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მერაბიშვილი თავს დამნაშავედ არ აღიარებს არც ერთ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით. სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლები მის პატიმრობას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ, მმართველი კოალიციის წევრები კი აცხადებენ, რომ კანონის ყველა დამრღვევმა უნდა აგოს პასუხი, მიუხედავად მათი თანამდებობისა და სტატუსისა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სასამართლომ, ამავე დროს, გაამართლა საქართველოს ყოფილი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელსაც წაუყენეს ბრალდებები იგივე საქმეზე, რაზეც ექსპრემიერს. სასამართლომ ჭიაბერაშვილს გამოუტანა განაჩენი 50 ათასი ლარის ჯარიმის სახით „სამსახურებრივი გულგრილობისთვის“.

მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის ადვოკატებს განზრახული აქვთ გაასაჩივრონ სასამართლო ვერდიქტი. პროკურატურამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ გაასაჩივრებს განაჩენის იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც ექსპრემიერს მოუხსნეს ზოგიერთი ბრალდება და რომლის თანახმადაც ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი გაამართლეს.

### ოპოზიციის რეაქცია

**ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელქვეით ოპოზიციურ პარტიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მერაბიშვილის მიმართ გამოტანილ განაჩენს აფასებენ, როგორც „პოლიტიკურ გადაწყვეტილებას“ და „შურისძიებას“ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომელიც, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა სიტყვებით, მიუხედავად შარშან გადადგომისა, სინამდვილეში თითქოსდა არის „საქართველოს დე ფაქტო ხელმძღვანელი“.**

„სასამართლომ ვერ გაუძლო ზემოქმედებას. ეს იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რითაც საქართველოს საზოგადოებას უთხრეს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არის... პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკური პროცესებისადმი ეკისრება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ღარიბაშვილს და ოლიგარქ ივანიშვილს. ეს ცუდი დღეა არა მხოლოდ მართლმსაჯულებისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც“, —განაცხადა საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა გიორგი ბოკერიამ ქუთაისში სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ.

თავის მხრივ, ზურაბ ჭიაბერაშვილმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის „გაუგებარია“, თუ ერთი და იგივე ბრალდებით რატომ აღიარეს იგი უდანაშაულოდ, მერაბიშვილს კი მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა. მან გააფრთხილა ხელისუფლება იმ რეზონანსის შესახებ, რასაც გამოიწვევს ყოფილი პრემიერის დაპატიმრება საერთაშორისო გაერთიანებაში. თავისი გამართლების ფაქტს ჭიაბერაშვილი ხსნის ხელისუფლების მცდელობით აჩვენოს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოს სასამართლოს „მოჩვენებითი დამოუკიდებლობა“.

### უმრავლესობის რეაქცია

**მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილისთვის გამოტანილ განაჩენს სამართლიანს უწოდებენ და ბრალს სდებენ ოპოზიციას სურვილში, მოახდინოს მისი „დანაშაულებების“ „პოლიტიზება“.**

ოპოზიციის განცხადების პასუხად იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ზემოქმედებას ახდენს სასამართლოზე, დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან თინა ხიდაშელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ თითქმის ყველა მოსამართლე თანამდებობაზე დაინიშნა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, და მათი უმრავლესობა „დიდადაა დავალებული“ სწორედ წინა ხელისუფლებისგან, რომლის ბრძანებულებებსაც თავის დროზე „ასრულებდნენ უცილობლად“. ხიდაშელი ამტკიცებს, რომ, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნება“ არ ერევა სასამართლოს საქმეებში და ამით აიხსნება პროცესების ხანგრძლივობა ექსჩინოვნიკების საქმეებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც სააკაშვილის დროს საქმეები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წყდებოდა „რამდენიმე დღეში“.

უფრო მეტიც, ხიდაშელის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის განმავლობაში საერთაშორისო მეთვალყურეთა უკლებლივ ყველა მოხსენებაში ნახსენებია ის, რომ წინა ხელისუფლება უკანონოდ იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს თავის ინტერესებში წინასაარჩევნო კამპანიის დროს. შესაბამისად, ამბობენ „ქართულ ოცნებაში“, ის, რომ ვანო მერაბიშვილი, როგორც სააკაშვილის მთავრობის პრემიერ-მინისტრი, ხელმძღვანელობდა ამ უკანონო მოქმედებებს, არ უნდა იყოს „მოულოდნელი“ მისი პარტიის წევრებისთვის.

### „რუსეთის ბრძანებულებებია“?

**მერაბიშვილთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების გარდა, რასაც ქართული ოპოზიცია პოლიტიკურად მიიჩნევს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბრალს სდებს ხელისუფლებას „პოლიტიკური დევნის“ დაწყებაში ამ პარტიის მომხრეებისა და წევრების მიმართ ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ადრე დააპატიმრეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რამდენიმე თანამდებობის პირი.**

ასევე 17 თებერვალს ოფიცერმა კობა ოთანაძემ, რომელიც სააკაშვილის მმართველობის დროს სასამართლომ აღიარა ბრალდებულად ამბოხების მონაწილეობაში სამხედრო გადატრიალების მიზნით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი აღიარეს პოლიტპატიმრად, განაცხადა, რომ სპეცოპერაციის დროს მისი დაკავებისთვის მას „ალბათ“ ესროლა დეპუტატმა გივი თარგამაძემ, რომელიც მაშინ საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. შეგახსენებთ, რომ თარგამაძე რუსეთში იმყოფება ძებნაში რუსეთის ფედერაციაში რუსეთის ოპოზიციის წევრებთან ერთად მასობრივ უწესრიგობათა მომზადების ბრალდებით

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოთანაძის მიერ გახმაურებულ ბრალდებას თარგამაძის მისამართით ხსნის საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებით, შეასრულოს „ბრძანებულება“ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა, რომელმაც ადრე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „არ არის საჭირო დავიცვათ“ თარგამაძე.

**„რამდენიმე თვის წინათ პუტინმა ბრიფინგზე... მოგვიწოდა, არ დავიცვათ გივი თარგამაძე, რითაც მან გაახმაურა გზავნილი საქართველოს მთავრობისადმი... როგორც ყოველთვის, საქართველოს მთავრობა ასრულებს რუსეთის ფედერაციის ბრძანებულებებს“,** — განაცხადა 17 თებერვალს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა.

ადრე, 14 იანვარს, თბილისის ყოფილმა მერმა, რომელიც 2009 წელს „მეამბოხეების“ დაკავების სპეცოპერაციის დროს იყო ადგილზე, საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს პროკურატურა კობა ოთანაძესთან ერთად აპირებდა „მოეფიქრებინა“ ბრალდება გივი თარგამაძის დაპატიმრების მიზნით. როგორც ოთანაძე ამტკიცებს, ექსმერმა ეს განცხადება გააკეთა „ადრე“, თვითდაცვის მიზნით, რათა შემდგომ ბრალი დაედო ხელისუფლებისთვის პოლიტიკურ დევნაში.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**მოსკოვში ას-სისის ვიზიტის შემდეგ რუსეთის ფედერაცია სინაიზე ბოევიკებისთვის თვალყურის სადევნელად ეგვიპტის თანამგზავრს გაუშვებს, გაიგეს ჟურნალისტებმა**

**როგორც იტყობინებიან, თანამგზავრის დახმარებით ეგვიპტელი სამხედროები თვალ-ყურს გაადევნებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, აპარატი ასევე დაიჭერს ბოევიკების ინფორმაციას. შეთანხმება მისი გაშვების შესახებ მიღწეული იქნა ეგვიპტის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელის პუტინთან შეხვედრაზე, ამტკიცებენ ადგილობრივი ჟურნალისტები.**

* * *

**უკრაინელმა ოპოზიციონერებმა მერკელთან შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციისგან მოითხოვეს „გამჭვირვალე პოლიტიკა“**



**საჭიროა საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო-საპრეზიდენტო ფორმაზე გადასვლა, შეიქმნას კოალიციური მთავრობა — „არა კორუმპირებული, არამედ პროუკრაინული და პროდასავლური“, — განაცხადა იაცენიუკმა. სამშაბათს კიევში უნდა ჩასულიყვნენ ეუთოს ემისრები, რათა შეხვედროდნენ ოპოზიციასა და იანუკოვიჩს.**

* * *

**უზბეკეთში დააკავეს გულნარა კარიმოვას რამდენიმე დაახლოებული პირი**



**დაკავებულები — რუსტამ მადუმაროვი, გაიანე ავაკიანი და ეკატერინა კლიუევა — გადიან სისხლის სამართლის საქმეში გადასახადების გადაუხდელობის გამო. ასევე ცნობილი გახდა კარიმოვას მიერ ტაშკენტში უძრავი ქონების დიდი ობიექტის დაკარგვის შესახებ. ადგილობრივი ჟურნალისტები მომხდარს „დრამის ერთ-ერთ საფინალო ეპიზოდს“ უწოდებენ პრეზიდენტის ქალიშვილისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ხელისუფლებაზე.**

* * *

**„იუნაიტედ აირლაინის“ თვითმფრინავი ძლიერ ტურბოლენტურ ნაკადში მოხვდა**

**შედეგად ტრავმები ეკიპაჟის სამმა წევრმა და რამდენიმე მგზავრმა მიიღეს. „ბოინგ-737“ ბორტზე სულ 114 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრი იყვნენ. საგანგებო შემთხვევის შემდეგ თვითმფრინავის კაპიტანი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა დისპეტჩერებს და სთხოვა მათ, რომ საჰაერო ხომალდს დახვედროდნენ სამედიცინო სამსახურები.**





# გრძელი გზა თეირანისკენ

1942 წლის მაის-ივნისში სტალინმა ლონდონსა და ვაშინგტონში გაგზავნა თავისი „მარჯვენა ხელი" – მოლოტოვი. ინგლისელები და ამერიკელები არწმუნებდნენ მას, რომ ევროპაში მოკავშირეების გადასხმის საკითხს მიიჩნევენ „გადაუდებელ ამოცანად", დაპირდნენ ამის გაკეთებას წლის ბოლომდე. ყურადღების გამახვილება იყო საჭირო იმაზე, რომ მოლაპარაკების დროს ინგლისელები აქცენტს აკეთებდნენ მათი რესურსების შეზღუდულობაზე, აღნიშნავდნენ გერმანელთა თავდაცვის სიძლიერეს საფრანგეთსა და ნიდერლანდში.

სინამდვილეში ჩერჩილის პოზიცია იმით იყო ნაკარნახევი, რომ არ სურდა სარისკო გაეხადა თავის თანამოქალაქეთა სიცოცხლე. უკვე 19 ივნისს ის ჩაფრინდა ვაშინგტონში და დაარწმუნა რუზველტი, მეორე ფრონტი წლის ბოლომდე დაევიწყებინა. პრემიერს სურდა, ომი გერმანიის ქანცმიხდამდე გაჭიანურებულიყო, სულაც არ ეწუხა იმის შესახებ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ვინმემ უნდა შექმნას არმია, იბრძოლოს და განიცადოს უზარმაზარი დანაკარგები. ამ როლს ჩვენს პაპებსა და პაპისპაპებს უმზადებდნენ...

## საბოტაჟი გრძელდება

**მოლოტოვი მოსკოვში დარწმუნებული დაბრუნდა, რომ 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა. იმ დროს სტალინი უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მაგრამ სტალინგრადის ბრძოლის წარუმატებელმა დასაწყისმა საკითხი კატეგორიულად დააყენა და 1942 წლის 1 აგვისტოს ღამით 67 წლის ჩერჩილი ავიდა დაუთბობელი ბომბდამშენის ბორტზე. მისი ხანგრძლივი და არცთუ უსაფრთხო გზა გადიოდა კაიროსა და თეირანზე. ბრიტანელ პრემიერს შესანიშნავად ესმოდა, რომ ის ცნობა, რომელიც სტალინთან მიჰქონდა, ვერ აღაფრთოვანებდა ქვეყნის ლიდერს, რომლის ხალხიც თავგანწირულად იბრძოდა ლამის მთელი ევროპის წინააღმდეგ, რომელიც მორჩილად დადგა მესამე რაიხის დროშის ქვეშ. როდესაც თავისი მისიის შესახებ საუბრობდა, ჩერჩილმა მეტაფორულად აღნიშნა: „ეს ჰგავდა იმას, თუ როგორ წაიღო ყინულის დიდი ნატეხი ჩრდილოეთ პოლუსზე".**

13 აგვისტოს სტალინმა ჩერჩილსა და ჰარიმანს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენდა, გადასცა მემორანდუმი. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ 1942 წელი არის „ყველაზე ხელსაყრელი პირობა ევროპაში მეორე ფრონტის შექმნისთვის, ვინაიდან გერმანიის ჯარების ყველა ძალა, თანაც საუკეთესო ძალები, განყენებულად წარმოდგენილია აღმოსავლეთის ფრონტზე". ბრიტანეთის პრემიერმა სტალინს აცნობა მოკავშირეების საბოლოო უარის შესახებ– გახსნან მეორე ფრონტი 1942 წელს, გადაწყვეტილება განმარტა დესანტისთვის სატრანსპორტო საშუალებათა უკმარისობით.

ჩერჩილი, ვისაც ჰარიმანმაც დაუჭირა მხარი, დაპირდა, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა 1943 წლის გაზაფხულზე, ისიც აცნობა, რომ ვაშინგტონისა და ლონდონის უახლოეს გეგმებშია ოპერაცია „ჩირაღდანი" ჩრდილოეთ აფრიკაში. სტალინს მოუწია, მოესმინა ჩერჩილის ყალბი და მაღალფარდოვანი სიტყვები, თითქოს „საუბრებმა ინგლის-ამერიკის წელს, შეჭრასთან დაკავშირებით დააბნია მტერი და შებორკა მისი მნიშვნელოვანი სამხედრო-საჰაერო და სახმელეთო ძალები საფრანგეთის სანაპიროზე".

დასასრული. დასაწყისი იხ. № 34

ჩერჩილის პოლიტიკურმა ხაზმა გაგრძელება 1943 წლის იანვარში მიიღო, როდესაც რუზველტი და ჩერჩილი შეხვდნენ ერთმანეთს კასაბლანკაში, საიდანაც სტალინს ერთობლივი წერილი გაუგზავნეს. მასში საერთო სიტყვებით, მაგრამ პათოსით იყო საუბარი ინგლისელთა და ამერიკელთა მომავალ ოპერაციებზე, რომლებიც „თქვენს ძლიერ შეტევასთან ერთად, ალბათ შეძლებენ გერმანიის დაჩოქებას 1943 წელს".

სტალინმა, რომელმაც კარგად იცოდა ანგლოსაქსების ფერადი დეკლარაციები და ცარიელი დაპირებები, ხარს რქებში წაავლო ხელი: „ვაფასებ რა თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გერმანიასთან დაკავშირებით, როგორც მისი განადგურების ამოცანას ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გზით 1943 წელს, მესიამოვნებოდა მიმეღო ცნობა ამ მხრივ კონკრეტულად დასახული ოპერაციებისა და მათი განხორციელების ვადების შესახებ".

ლოგიკურ შეკითხვაზე ჩერჩილსა და რუზველტს კონკრეტული პასუხი არც ამჯერად აღმოაჩნდათ. მეორე ფრონტი 1943 წელს არ გახსნილა. მოკავშირეთა ურთიერთკავშირში წარმოიშვა სერიოზული კრიზისი, რაც უყურადღებოდ არ დატოვეს ბერლინელმა „მეთვალყურეებმა".

## „დიდი სამეულის" გადაწყვეტილებები

**თეირანი, როგორც შეხვედრის ადგილი, სტალინის სურვილით აირჩიეს. სტალინგრადთან და კურსკის რკალზე ტრიუმფის შემდეგ სტალინი მთლიანად იყო დარწმუნებული გერმანიაზე გამარჯვებაში და ქედმაღალ ანგლოსაქსებთან ძალის პოზიციიდან შეეძლო ესაუბრა. წითელი არმია ევროპის საზღვარზე იდგა და ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მას შეუძლია, მარტომ გაასუფთაოს მთელი კონტინენტი ნაცისტებისგან. ინგლისელებსა და ამერიკელებს ამის შესახებ შეეძლოთ მხოლოდ ეოცნებათ.**

ბრიტანელმა ისტორიკოსმა მაქს ჰასტინგსმა შენიშნა, რომ „სადაც უნდა შეხვედროდნენ ინგლისელი და ამერიკელი ჯარები გერმანელებს დაახლოებით თანაბარი ძალებით, გერმანელები გაიმარჯვებდნენ... ომის რამდენიმე წლის შემდეგაც კი, 1943 წლის ნოემბერში, კუნძულ ლეროსზე ინგლისის 5-ათასკაციანი გარნიზონი გაანადგურა გერმანელთა ჯარმა 4 ათასი კაცის შემადგენლობით".

თეირანში წერტილი დაესვა ორზე მეტი წლის განმავლობაში მიმდინარე დისკუსიას მეორე ფრონტის თემაზე. მიღებულ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „კონფერენციამ მხედველობაში მიიღო, რომ ოპერაცია „ოვერლორდი" მიღებული იქნება 1944 წლის მაისის განმავლობაში სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგ ოპერაციასთან ერთად. ეს უკანასკნელი ოპერაცია განხორციელდება მასშტაბით, რომლის საშუალებასაც სადესანტო საშუალებების არსებობა იძლევა. კონფერენციამ შემდეგ მიიღო მარშალ სტალინის განცხადება, რომ საბჭოთა ჯარები განახორციელებენ შეტევას დაახლოებით იმავე პერიოდში იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული გერმანიის ძალების გადასროლა აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე.

სტალინი დაინტერესდა დასავლელი პარტნიორებისგან გაეგო, ვინ იქნებოდა საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი. როდესაც მოისმინა, რომ იგი ჯერ კიდევ არაა დანიშნული, საბჭოთა ლიდერმა გაოცება გამოხატა და ეჭვი შეეპარა ოპერაცია „ოვერლორდის" წარმატებაში. რუზველტმა სწორად გაუგო სტალინს და ადმირალ ლეგის ჩურჩულით გადაულაპარაკა: „ეს ეშმაკი ბოლშევიკი ცდილობს, მაიძულოს, დავნიშნო მთავარსარდალი. არ შემიძლია ვუთხრა მას, რომ ჯერ კიდევ არ მიმიღია საბოლოო გადაწყვყეტილება".

სტალინმა მოინდომა, დახმარებოდა მოკავშირეებს და დაპირდა მათ, რომ ევროპაში საომარ მოქმედებათა დამთავრებიდან სამი თვის შემდეგ გამოუცხადებს ომს იაპონიას. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებმა მიიღეს „სამთა დეკლარაცია ირანის შესახებ", განუცხადეს „თავიანთი სურვილი, შეუნარჩუნონ ირანს სრული დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული ხელშეუხებლობა".

კონფერენციაზე დაიწყეს საკითხის განხილვა გერმანიის მომავლის შესახებ, შეათანხმეს გადაწყვეტილება სსრ კავშირისთვის კენიგსბერგის გადაცემის შესახებ და მიანიშნა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტის გზა.

მის შესახებ უფრო დაწვრილებით უნდა ითქვას. ურთიერთობა სსრ კავშირსა და დევნილობაში მყოფი პოლონეთის მთავრობას შორის გაფუჭდა, როდესაც სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პოლონეთის გენერალ ვლადისლავ ანდერსის არმია სტალინგრადის ბრძოლის დასაწყისში, წინააღმდეგ ადრე მიღებული დაპირებისა, წასულიყო ფრონტზე, წავიდა ირანში ინგლისელებთან.

ურთიერთობებში ბზარი უფსკრულად გადაიქცა მას შემდეგ, რაც 1943 წლის 13 აპრილს ბერლინის რადიომ გადმოსცა ცნობა, რომ კატინში ნაპოვნია 10 ათასი პოლონელი ოფიცრის გვამი. როდესაც ნანახს აღწერდნენ, იოზეფ ჰებელსის პროპაგანდისტებმა მას უწოდეს ნათელი მაგალითი „ებრაულ-ბოლშევიკური მხეცობისა, რომელიც 1940 წლის გაზაფხულზე ჩაიდინა საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა". ნაცისტების პროვოკაცია აიტაცეს ლონდონელმა პოლონელებმა, რომლებმაც მასში კრემლის შანტაჟის ინსტრუმენტი დაინახეს, რათა მიეღწიათ შეთანხმებისთვის მომავალი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის შესახებ იმ ხაზზე, რომელიც 1939 წლის 1 სექტემრისთვის იყო.

როდესაც გეოპოლიტიკური მიზანი დაისახეს, ლონდონელმა პოლონელებმა უგულებელყვეს როგორც სმოლენსკის ოლქის მცხოვრებთ მრავალრიცხოვანი დადასტურება, რომ პოლონელები ცოცხლად ნახეს 1941 წლის შემოდგომაზე, ისე ისიც, რომ ყველა მათგანი დახვრიტეს გერმანული იარაღით და გერმანული ტყვიებით, ხელები შეკრული ჰქონდათ ქაღალდის ბაწრით, რასაც სსრ კავშირში არ აწარმოებდნენ.

ლონდონელ პოლონელებს მათ მიერ დაკავებული პოზიცია უკან შემოუბრუნდათ. პოლონეთმა კი მთლიანად მოიგო: სტალინმა დააყენა წინადადება, მისი დასავლეთის საზღვარი წაეწიათ დასავლეთისკენ, აღმოსავლეთის საზღვარი კი – კერზონის ხაზზე. რუზველტი დათანხმდა, ჩერჩილმა კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს გეგმა – კარგია და ძალიან კარგიც ყველა მათგანს შორის", რომლის იმედიც პოლონელებს უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან „გერმანული მიწები გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე მინსკის ჭაობები. ეს მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებული რაიონებია".

ჩერჩილი დაპირდა, რომ პოლონელებს შეახსენოს, „თუ არა წითელი არმია, ისინი მთლიანად განადგურდებოდნენ". სამწუხაროდ, რუსული პროპაგანდა უგულებელყოფს ამ ჭეშმარიტებას, რითაც უნდა დაიწყოს ყველა საუბარი პოლონელებთან. ეს საუბრები კი უნდა დასრულდეს გადარჩენილი კრაკოვისა და პოლონეთის გათავისუფლების დროს დაღუპული 600 ათასზე მეტი წითელარმიელის შეხსენებით.

კონფერენციის მუშაობის შედეგის რეზუმირება მოახდინა სამი სახელმწიფოს დეკლარაციამ: „ურთიერთგაგება, რომელსაც ჩვენ აქ მივაღწიეთ, გამარჯვების გარანტიას გვაძლევს..."

**ოლეგ ნაზაროვი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

ეს წვრილმანი როდია!

## პირადობის მოწმობები უფასოდ მიიღეს

**უფასო პირადობის მოწმობების გაცემის თაობაზე გამოცხადებული აქციით 13 000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით , სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებსა და იუსტიციის სახლებში, 17-დან 22 წლამდე მოქალაქეებისთვის უფასო პირადობის მოწმობების გაცემა 24 იანვრიდან დაიწყო. ამ დროისთვის აქციით 13 237-მა მოქალაქემ ისარგებლა.**

**აქცია 24 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში მოხვედრილ მოქალაქეებს, რომლებსაც პირადობის ახალი მოწმობა ჯერ არ აუღიათ საშუალებას მისცემთ დოკუმენტი სრულიად უფასოდ მიიღონ.**

**ამავე პერიოდში, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, პირადობის ახალი მოწმობის უფასოდ მიღების საშუალება პირობით მსჯავრდებულებს (პრობაციონერებსაც) აქვთ. ყველა მათგანი თავისუფლდება, როგორც დოკუმენტის, ისე ფოტოსურათის გადაღების ღირებულებისგან. ამ დროისთვის აქციით 278-მა პრობაციონერმა ისარგებლა.**

**ინტერპრესი**



სოჭი – 2014

# ოლიმპიადა ჩვენთვისაც დაიწყო



**წიკლაური 49-ეა, მეი – უკანასკნელი**

ქართველმა სამთო-მოთხილამურე ნინო წიკლაურმა, რომელიც სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთაგან პირველი ჩაერთო, ასპარეზობა 49-ე ადგილზე დაასრულა.

გიგანტურ სლალომში შეჯიბრში სულ 90 მოთხილამურე ჩაება, რომელთაგან პირველ ცდაზე გამოსვლა 16-მა ვერ დაასრულა, მეორეზე კი ტრასას 7 სპორტსმენი გამოეთიშა.

საბოლოოდ ორივე ცდის გამოყენება 67-მა გოგონამ მოახერხა. ნინომ პირველ ცდას 1:27.27 წუთი დაახარჯა და 54-ე გახლდათ, მეორეზე კი ტრასა 1:28.07 წუთში დაფარა, რაც 50-ე შედეგი იყო.

ჯამში ქართველი მოთხილამურე ჩემპიონ ტინა მაზეს (სლოვენია) 18,47 წამით ჩამორჩა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, 49-ე მაჩვენებელი გახლდათ.

ერთი საინტერესო დეტალიც: გიგანტურ სლალომში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა მევიოლინე ვანესა მეიმ, რომელიც სტარტზე ვანესა ვანაკორნის სახელით დადგა.

იგი სინგაპურში გახლავთ დაბადებული, ოლიმპიადაზე კი ტაილანდის დროშის ქვეშ იასპარეზა და თავი ნამდვილად არ შეურცხვენია.

აღნიშნულით იმას ვგულისხმობთ, რომ ვანესამ ორივე ცდა გამოიყენა და დისკვალიფიკაციას გადაურჩა, თორემ, ბოლო ადგილზე რომ გავიდა, გასაკვირი არაფერი ყოფილა. ჯამში ვანაკორნმა გამარჯვებულთან 50.10 წამი დათმო.

* * *

**ელენე გედევანიშვილი, რომელიც სოჭში 14 თებერვალს კანადიდან პირად მწვრთნელ ბრაიან გისლენდთან ერთად ჩაფრინდა, ოლიმპიურ თამაშებზე საასპარეზოდ აქტიურად ემზადება.**

ფიგურულ სრიალში საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა სპორტსმენმა ოლიმპიურ ბაზაზე მდებარე ყინულის დარბაზ „აისბერგში“, სადაც მომავალი ტურნირი უნდა შედგეს, უკვე არაერთხელ ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ ქალთა ტურნირის განრიგის მიხედვით მონაწილენი მოკლე პროგრამას დღეს შეასრულებენ (შეჯიბრი სტარტს თბილისის დროით 19 საათზე აიღებს), 30 სპორტსმენიდან 24 საუკეთესო კი ხვალ თავისუფალი პროგრამის შესრულების უფლებას მიიღებს.

მოკლე პროგრამისთვის გოგონები ხუთ ექვსეულში არიან გადანაწილებულნი. უკვე ცნობილია, რომ გედევანიშვილი ყინულზე მე-3 ექვსეულში მე-4 ნომრად ანუ ჯამში მე-16 მონაწილედ გავა.

ელენეს გარდა, ჯგუფში სლოვაკი ნიკოლ რაიცოვა, ჩეხი ელიზავეტა უკოლოვა, ნორვეგიელი ანე ლინე გიერსემი, სამხრეთკორეელი იუნა კიმი და გერმანელი ნატალი ვეინზიერლი მოხვდნენ.

გასაკვირი არაა, რომ შეჯიბრის უმთავრესი ფავორიტები – რუსები იულია ლიპნიცკაია და ადელინა სოტნიკოვა, იტალიელი კაროლინა კოსტნერი და იაპონელი მაო ასადა ბოლო ექვსეულში იასპარეზებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**




ჩოგბურთი

# წყვილებში – პირველი, ერთეულებში – მეორე

**ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იან საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ამერიკულმა მიდლენდმა,**



**რომელშიც თბილისელმა ანა ტატიშვილმა იყოჩაღა – წყვილებში ჰიტა უოტსონთან (დიდი ბრიტანეთი) ერთად მან ზედიზედ სამი დუეტი ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი მე-2 ნომრად განთესილ შარონ ფიგმანსა (კანადა) და მარია სანჩესს (აშშ) აჯობა 7:5, 5:7, 10:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა.**

მსგავს წარმატებას მიაღწია სოფიო შაფათავამაც, ოღონდ 15.000-იან შეჯიბრებაში, რომელიც ტალინში გაიმართა. შაფათავამ და სლოვენიელმა მაშა ზეპპესკარიჩმა გადამწყვეტ პაექრობაში აგნეს ბუკტას (უნგრეთი) და ვიქტორია ტომოვას (ბულგარეთი) ტანდემი დაჯაბნეს – 6:4, 7:6. შაფათავა ამჟამად რუსეთის დედაქალაქში იმყოფება და 25.000-იან ტურნირში ჩაებმება.

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი ტურნირის ერთეულთა პაექრობაში თავი გამოიჩინა სოფიო ქვაცაბაიამ. ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა მე-2 ნომრად განთესილი რუსი იანა სიზიკოვა (2:6, 6:4, 6:4), გერმანელი ქრისტინა შაკოვეცი (6:4, 6:2), რუმინელი ირინა მარია ბარა (6:4, 6:3), ხოლო ფინალში პატრისია მარია ტიგთან (რუმინეთი) წააგო – 3:6, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდა. ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძე დღეიდან ანტალიის ახალ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

* * *

გასული კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციამ (WTA) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. **ერთეულებში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:** 114 (115). ანა ტატიშვილი (554 ქულა), 206 (207). სოფიო შაფათავა (288). 314 (316). ოქსანა კალაშნიკოვა (149), 404 (407), ეკატერინე გორგოძე (100), 451 (451). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი (81), 805 (833). სოფიო ქვაცაბაია (22), 1186 (1184). მარიამ ბოლქვაძე (5), 1236 (1233). თამარ ჭალაგანიძე (3). **წყვილები.** 49 (53).კალაშნიკოვა (1677 ქულა), 74 (82). ტატიშვილი (1175), 167 (178). შაფათავა (414), 448 (457). გორგოძე (110), 545 (548).



ქვაცაბაია (77), 773 (779). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 1266 (1266). ჭალაგანიძე (4), 1297 (1298). ბოლქვაძე (3).

**ლაშა დიდია**

მძლეოსნობა

# „სპორტის დედოფალი“ კავკასიას აერთიანებს



**თბილისის მძლეოსნობის სასახლემ დამოუკიდებელი საქართველოს „სპორტის დედოფლის“ ისტორიაში პირველად „კავკასიის თასის“ ღია გათამაშებას უმასპინძლა.** შეჯიბრებაში „ჯვაროსანთა“, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლატვიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს ასპარეზობა ერთგვარი რეპეტიცია იყო ევროპის მძლეოსანთა 2014 წლის გუნდური ჩემპიონატისთვის (III ლიგა), რომელიც ჩვენს დედაქალაქში წლეულს 21-22 ივნისს გაიმართება. ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ მედლების 16 კომპლექტიდან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა 10 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საერთო ჩათვლაში მოგროვებული ქულებით ქალებში მაიკო გოგოლაძემ (1030 ქულა), ვაჟებში კი ლაშა თორღვაიძემ (1082) დაიკავეს პირველი ადგილები. ორივე სპორტსმენი ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს. აქვე „კავკასიის თასის“ პირველი გათამაშების გამარჯვებულთა ვინაობას გაგაცნობთ:

**60 მ.** ვალერია ბალიანინა (აზერბაიჯანი, 7,83), ირაკლი აშორდია (საქართველო, 6,99), **400 მ.** მარიამ მარტინენკო (1.00,06), ნიკა კარტავცევი (ორივე-საქართველო, 49,74), **800 მ.** შაფა მამადოვა (აზერბაიჯანი, 2.16,10), ტიგრან მკრტიჩიანი (სომხეთი, 1.55,98), **60 მ/თ.** ეკატერინა სოკოლოვა (აზერბაიჯანი, 8,95), დავით ილარიანი (საქართველო, 8,07), **სიგრძე.** მაიკო გოგოლაძე (6,20), ბოლესლავ სხირტლაძე (ორივე-საქართველო, 7,63), **სიმაღლე.** ეკატერინა ბირიუკოვა (აზერბაიჯანი, 163), ზურაბ გოგოჭური (საქართველო, 207), **სამხტომი.** სატენიკ ჰოვანესიანი (სომხეთი, 12,64), ლაშა თორღვაიძე (საქართველო, 16,32), **ბირთვი.** ბენიკ აბრამიანი (16,08), **1500 მ.** დავით ხარაზიშვილი (ორივე-საქართველო, 4.07,20).

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# დელ პიერო კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა



**ავსტრალიური „სიდნეის“ ვეტერანი კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო საფეხბურთო კარიერის ზაფხულში დასრულებას არ გამორიცხავს.** Italian Football Daily-ს **ცნობით, დიდი ალბათობით, იტალიელი უკანასკნელ მატჩს თავისი ყოფილი კლუბის – ტურინის „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.**

„ვნახოთ, შუა სეზონში როგორ განვითარდება მოვლენები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩემი უკანასკნელი მატჩი იყოს. სადღეისოდ ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა ნაადრევია. ნამდვილად არ ვიცი, ზაფხულში რა იქნება“, – განაცხადა თავდამსხმელმა.

აგვისტოში ავსტრალიის ჩემპიონატის ვარსკვლავები ტურინის „იუვენტუსს“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან. შესაძლოა დელ პიერომ ბუცები ლურსმანზე სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დაკიდოს.

**გიორგი შოთაძე**

ძიუდო

# ისინი დიუსელდორფში იჭიდავებენ

**წლეულს 21-23 თებერვალს დიუსელდორფი ძიუდოისტთა „დიდ პრიზს“ უმასპინძლებს. საქართველოს ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ის ფალავნები დაასახელა, რომლებიც გერმანულ ტატამზე იჭიდავებენ. დიუსელდორფში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ:** ლუხუმ ჩხვიმიანი (60), შალვა ქარდავა (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), უშანგი მარგიანი (81), ბექა ღვინიაშვილი, ზვიად გოგოჭური (ორივე – 90), ნოდარ მეტრეველი, იოსებ მსხალაძე (100), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (+100). როგორც ვხედავთ, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი შავდათუაშვილი პირველად ახალ წონაში მოსინჯავს ძალებს.



მწვრთნელმა ამჯერად დაასვენა გუნდის ლიდერები – ევროპის ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი (60), ამავე ტიტულის მფლობელები და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნები - ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და ვალერი ლიპარტელიანი (90). ისინი ერთი თვის შემდეგ თბილისის „დიდ პრიზზე“ იასპარეზებენ, როგორც ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი. ეს შეჯიბრება კი ევროპის ჩემპიონატისთვის მთავარი შესარჩევი ტურნირი იქნება.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

# მექსიკელი მოდელის დარდები

**როგორც იცით, მექსიკამ აქამდე უკვე ორჯერ უმასპინძლა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ მართლაც საინტერესო და ლამაზ ქვეყანაში მუნდიალი კარგა ხნის მანძილზე აღარ გაიმართება, რადგან ორჯერ მასპინძლობის ბედნიერება ისეთ ქვეყნებსაც კი არ ჰქონიათ, როგორიც, მაგალითად, არგენტინა და ინგლისია.**

მექსიკელი მოდელი რეიჩელ პომპლუმი ძალიან განიცდის, რომ იმ ეპოქაში იშვა და აღიზარდა, როდესაც მექსიკაში ორი მუნდიალი უკვე ჩატარებულია და მექსიკელებს კარგა ხნის მანძილზე მოუწევთ ცდა, სანამ ეს ბედნიერება მესამედ ეღირსებათ.

„სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან მშურს ჩემი ბრაზილიელი კოლეგების, რომლებიც მუნდიალისათვის ფეხბურთელებზე არანაკლებად ემზადებიან. მე მოდელის კარიერას ალბათ ისე დავასრულებ, რომ მექსიკაში ასეთი დიდი ამბავი აღარ მოხდება. ამ კუთხით ნამდვილად არ გამიმართლა“ – გულამოსკვნით ამბობს მშვენიერი რეიჩელი.

**როსტომ რაჭველიშვილი**



ინფორმაცია

# ბათუმში თოჯინებიც აღარ იცინიან!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის ხელმძღვანელი პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა, — ამის შესახებ საგამოძიებო სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნენ, შპს „თექ-ევ ინშაათის“ დირექტორი ჰალილ ექში და ტექნიკური დირექტორი გიორგი ოდიშვილი, ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისებაში დახმარებისათვის, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიცემულია ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის მმართველი მედეა ჩარკვიანი და სამუშაოთა ტექნიკური ზედამხედველი ილია ზაქარიაძე.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ შპს „თექ-ევ ინშაათს“ სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრისათვის“ უნდა შეესრულებინა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობის 1 163 226,28 ლარის ღირებულების სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ აღნიშნული კომპანიის მიერ არ იქნა მოწყობილი თეატრის განათების, გახმოვანებისა და კონდიცირების სისტემები. მიუხედავად ამისა, ყალბი სამუშაოთა აქტების ფორმა №2 საფუძველზე, სამუშაოები შესრულებულად იქნა მიღებული.

სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის მიერ, შეუსრულებელი და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი არ ფუნქციონირებს ერთ წელზე მეტია და მისი ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანას დღეისთვის 300 000 ლარზე მეტი თანხა ესაჭიროება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილი „ბ“ პუნქტით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით“.

ინტერპრესი

სანთელი

# მერი დავითაშვილი



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე, კომპოზიტორი **მერი დავითაშვილი**.

მერი დავითაშვილი დაიბადა 1924 წლის 13 მარტს. 1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო განყოფილება პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. 1968-1992 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნად, 1973-2006 — ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1972 წელს ქალბატომა მერიმ დააარსა ყოველწლიური „საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეული“, რომელიც დღემდე ტარდება და, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ქალბატონი მერი განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა საბავშვო მუსიკის დარგში. დაწერილი აქვს ორი შესანიშნავი საბავშვო ოპერა „ქაჯანა“ (1965) და „ნაცარქექია“ (1972), რომელთაც დიდი წარმატება ხვდა. მას ეკუთვნის მუსიკა საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმებისათვის, მათ შორის „მანანა“, „პაპა გიგია“, „დაგვიანებული სასიძო“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „სათაგური“, რომელიც ხატოვანებით, კოლორიტულობითა და მახვილგონივრულობით გამოირჩევა. კომპოზიტორს დაწერილი აქვს აგრეთვე ორი საორკესტრო სიუიტა ბალეტიდან „მზის ქორწილი“ (1954), ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის (1956), საბავშვო საფორტეპიანო კონცერტი (1995), მთელი რიგი კამერულ-ინსტრუმენტული და საგუნდო ნაწარმოებები, რომანსები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისთვის.

მერი დავითაშვილის შემოქმედებას იცნობს მთელი საქართველო. მისი საოცრად სადა და სათნოებით სავსე მუსიკა, კლასიკად ქცეული საბავშვო სიმღერები ნორჩი თაობის მხატვრული აღზრდის განუყოფელ ნაწილად იქცა.

„მერი დავითაშვილის მუსიკას მოსდგამს ქალური სიფაქიზე და სიწმინდე, სიყვარული ნორჩი მსმენელებისადმი, მხატვრული მიზანდასახულობის სიზუსტე“ — გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ამ სიტყვებით გამოხატულია მერი დავითაშვილის როგორც პიროვნებისა და შემოქმედის უმთავრესი თვისებები — მაღალი ზნეობრივი კულტურა, სულიერი სიფაქიზე, დიდი პროფესიონალიზმი.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში სამარადისოდ დარჩება შესანიშნავი კომპოზიტორისა და კეთილშობილი პიროვნების, „ქართული მუსიკის დედოფლის“ მერი დავითაშვილის ხსოვნა.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი

ჩვენი კარაბადინი

# ღიმილი — ავადმყოფის მეგობარი სიცილი, როგორც წამალი

**სიცილი და ღიმილი რომ სასიამოვნოა, ყველამ იცის. მაგრამ ყველასთვის როდია ცნობილი, რომ სიცილს მედიცინასა და ფსიქოთერაპიაში იყენებენ იმისთვის, რომ დაიცვან ადამიანი სხეულისა და სულიერი სენებისგან.**

## დაავადებათა წინააღმდეგ სიცილზე სასარგებლო არაფერია

**„ქალაქში ჯამბაზის გამოჩენა მცხოვრებლების ჯანმრთელობისთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე წამლებით დატვირთული ათობით ჯორი“, — ჯერ კიდევ 300 წლის წინათ წერდა ინგლისელი ექიმი სიდენჰამი.**

სიცილი — ბუნების მიერ შექმნილი გასაოცარი წამალია. იგი არის ქმედითი, უსაფრთხო, არ აქვს თანმდევი ეფექტები. სიცილი შეიძლება გამოიყენო ნებისმიერ ასაკში — ჩვილი ყრმის ასაკიდან გვიან სიბერემდე. ამ საშუალებას არა აქვს საწინააღმდეგო მაჩვენებლები და, რაც ყველაზე მთავარია, სიცილი სასიამოვნოა!

როგორ მუშაობს იგი? როდესაც ვიცინით, იზრდება სეროტონინის, ეგრეთ წოდებული „სიხარულის ჰორმონის“ დონე. სტრესის ჰორმონების კორტიზოლისა და ადრენალინის დონე კი, პირიქით, მცირდება. აი რატომაა, რომ სიცილი —საუცხოო საშუალებაა სტრესის დროს.

ამას გარდა, როდესაც ადამიანი იცინის, უმჯობესდება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების, კვების გადამუშავების ორგანოების მუშაობა. ძლიერდება თავის ტვინის სისხლძარღვების ჟანგბადით მომარაგება. ამიტომ სიცილს აქვს დადებითი მაჩვენებლები ჰიპერტონიის, გულის იშემიური დაავადების, გასტრიტის, დიაბეტის, ტვინის მუშაობის დარღვევის — ერთი სიტყვით, პრაქტიკულად ყველა დაავადების დროს.

## პრობლემები? ეს სასაცილოა!

**სინამდვილეში სიცილი სერიოზული რამეა. მას სწავლობენ ცნობილი მეცნიერები, არსებობს მკურნალობის მეთოდიც კი — სიცილოთერაპია, რომელსაც იყენებენ როგორც მედიკოსები, ისე ფსიქოლოგებიც.**

სიცილოთერაპევტები გვეხმარებიან, დავძლიოთ პრობლემები პირად ურთიერთობებში: გადავიტანოთ განქორწინება, მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი ჩვენს მეორე ნახევართან — ერთი სიტყვით, მოვნახოთ გამოსავალი პრაქტიკულად ცხოვრების ნებისმიერი რთული სიტუაციიდან. ამერიკაში ასეთი სპეციალისტები მუშაობენ შიდსით, კიბოთი დაავადებულებებთანაც კი, ეხმარებიან ქალებს, რომლებმაც ბავშვობაში სექსუალური ძალადობა განიცადეს.



თუ გაქვთ პრობლემა, ჩამოაყალიბოთ იგი, მიდით სარკესთან, შეხედეთ საკუთარ თავს და ბევრჯერ გაიმეორეთ ჩამოყალიბებული ფრაზა, ყოველი წინადადების შემდეგ კი დაუმატეთ: „ეს ძალიან სერიოზულია!“ მაგალითად: „ასი ლარი დამეკარგა — ეს ძალიან სერიოზულია!“ ილაპარაკეთ ასე მანამ, სანამ არ გაიცინებთ. თქვენ დაინახავთ, რომ სინამდვილეში წარმოქმნილი სირთულე, არც ისე გრანდიოზულია, როგორც გეჩვენებოდათ.

## სიცილი — ცხოვრებაში!

**არის უამრავი საშუალება, გავალამაზოთ ჩვენი ცხოვრება სიცილითა და სიხარულით. აი ზოგიერთი მათგანი:**

- იქონიეთ მეტი ურთიერთობა ბავშვებთან და მიბაძეთ მათ. ბავშვის გაცინება წარმოუდგენლად ადვილია. ისინი იცინიან ძალიან ხშირად, ზოგჯერ უმიზეზოდაც. და არ იქნებოდა ურიგო მოზრდილებსაც გვესწავლა მათგან.
- ხელახლა წაიკითხეთ თქვენი საყვარელი საბავშვო წიგნი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენ დადებით ემოციას მიიღებთ!
- გაიკეთეთ კლოუნის ცხვირი და შეხედეთ თავს სარკეში. ძალიან გვიმაღლებს განწყობილებას, როდესაც მოწყენილები ვართ!
- გახსენით ბლოგი ან აიღეთ ბლოკნოტი, სადაც შეიტანთ ყველა მხიარულ მოვლენას, რაც გადაგხდათ თავს თქვენ, თქვენს მახლობლებს, ნაცნობებს.
- ეცადეთ, ხშირად გაიღიმოთ. მაშინაც კი, როდესაც ეს სულაც არ გინდათ. დილით როცა გაიღვიძებთ, გაუღიმეთ ახალ დღეს, საკუთარ გამოსახულებას სარკეში და მშობლებსა და ნათესავებს. ეს არა მხოლოდ სასიამოვნოა, არამედ სასარგებლოც. თავადვე შენიშნავთ, რომ 10 წუთის შემდეგ გაგიუმჯობესდებათ განწყობილება.
- იცინეთ რაც შეიძლება მეტი, ოღონდ გახსოვდეთ, რომ სიცილი, რომელიც იწვევს ჭეშმარიტ ფსიქოლოგიურ ეფექტს, უნდა იყოს კეთილი: უნდა იცინოთ არა ადამიანზე, არამედ სიტუაციაზე.

სიცილი სასარგებლოა არა მხოლოდ სხეულისა და ფსიქიკისთვის, იგი გვეხმარება გავხსნათ ჩვენი მიმზიდველობაც. ღიმილის მოყვარულ ადამიანთან უფრო ადვილია ურთიერთობა, ის ხალხს მოსწონს და მისკენ მიისწრაფიან კიდეც. აი მხიარული ქალები, სიცილ-კისკისის მოყვარულები ყოველთვის მამაკაცების ყურადღების ცენტრში არიან.

## ციფრები

- **ძლიერი სიცილის დროს ჰაერი პირიდან გამოდის საათში 100 კილომეტრის სიჩქარით.**
- **სიცილის დროს ადამიანის სახის 17 კუნთია მოქმედებაში. ეს არის საუცხოო ვარჯიში სილამაზისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის!**
- **თუ ადამიანი დღეში 17 წუთს იცინის, ის თავის სიცოცხლეს ერთი წლით იხანგრძლივებს.**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ცნობილი კომპოზიტორის, სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის**

**მერი დავითაშვილის**

**გარდაცვალებას. სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.**

მერაბ ბერძენიშვილი

**დედა ქეთინო ხაჩიძე, ძმები თემურ გოგოლაშვილი, ზურიკო ცხაკაია, ბებიები გულიკო ჩაფიძე, გაიანე ხაჩიძე, დიდედა ქეთო ხაჩიძე, ბიძა კოკა ხაჩიძე მეუღლით, ბიძაშვილები მარიამ ცხაკაია, გაია ხაჩიძე, რძლები მარინა ვინოგრადოვა, ირინა ზაქარეიშვილი, ძმისწულები დათუნა გოგოლაშვილი, ლიზა, ანა ცხაკაიები იუწყებიან რომ გარდაიცვალა**

**დავით თემურის ძე ცხაკაია**

**პანაშვიდი 19 II 17 სთ. მისამართი: საბურთალოს ქუჩა №43ა. გამოსვენება 20 II, 14 სთ. ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.**

ინფორმაცია

# სტუმრად მყოფმა ქართველებმა მოსკოვში პოლიციელები დაჭრეს

**მოსკოვში, მეტრო „სხოდნენსკაიასთან„ პოლიციელების დაჭრაში ქართველები არიან ეჭვმიტანილი. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

**გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავებმა ოთხ ქართველ ახალგაზრდას შენიშვნა მისცეს, რასაც პოლიციელებსა და ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი მოჰყვა.**

**სიტყვიერი კონფლიქტი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ქართველებმა ორ პოლიციელს ცივი იარაღით მიაყენეს ჭრილობა.**

**ამასთან, „ნტვ“-ის ცნობით, მოსკოვში სტუმრად მყოფმა ქართველებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა ტაქსით სცადეს, თუმცა, ტაქსის მძღოლმა მათ უარი უთხრა წაყვანაზე და ახალგაზრდები მასაც თავს დაესხნენ.**

**რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციით, ორი თავდამსხმელი დაკავებულია, ორმა კი მიმალვა შეძლო.**

ინტერპრესი

№35. ოთხშაბათი, 19 თებერვალი, 2014 წელი.

# სათრეველები

## სიცილი სიცილზე

შოუბიზნესის მასხარას
მახსოვს, ვინ როდის მასხა რა
და ძალზე კარგად ვიცი, რომ,
როცა ბიძინა ბიძინობს,
რომც ველარ შემიხიცინონ,
„ნაცი“ მაძალებს, ვიცინო!

## მტვერი თვალში

სიცილი და ოვაცია
ზუსტად გათვლილ ნოვაციად
უკვე ჩავსვი პატრონტაჟში,
რადგან მოსწონს პატრონს ტაში
და სიცილიც –
ოღონდ მაშინ,
როცა ხალხს მტვერს ვაყრით
თვალში!

## რატომ არ დააანონსა?

ვინც „ნაცის“ ქება ინება
და „მეოცნების“ გინება,
რატომ არ დააანონსა
მასხრობს თუ ინტრიგანობსა?

## ჭაკისთავა

„კმარელია“ გიგისავით.
მაგრამ ჭაკი ვირის თავით.

## „ჩე გევარა“

რასაც უნდა, იმას ამბობს,
რასაც უნდა, უკრავს იმას,
ხან რუსეთში აწყობს „ამბოხს“,
ხანაც მოძღვრავს უკრაინას.
შეგვაჩვია მგლისებრ ყმუილს
და, ვაგლახ, რომ დღემდე ვალად,
შეგვრჩა ბლუი ქვეყნის „უიდ“
და უნიჭო „ჩე გევარად“!

## ნემსის ყუნწში

ამ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში
ამოდენა სორო სიდან?
გამყიდველთა გახლავთ ბოსი,
და ძირს გვითხრის სოროსითა.
რაც მწერლობას ერგო მზითვად,
რაც მედიამ შექმნა თვითონ,
წაართვა და სხვებთან ზიდა,
მამამისის იყო ვითომ.
ნასუქია ნამეტნავი,
მაგრამ თავის გამეტება
ისეთი აქვს,
დონდლო ტანით
ნემსის ყუნწში გაეტევა.

**ალექსანდრე შენგელია**

## ტესტი

# მზად ხართ დედობისთვის?

**მზადყოფნა – იზრუნო ბავშვისთვის, სულაც არ არის დამოკიდებული ასაკზე, განათლების დონეზე, წარმატებულობასა და იმაზეც კი, გყავთ თუ არა ბავშვები. უბრალოდ, ერთხელ დგება საათი, როდესაც ქალში მწიფდება დედა.**

**შესანიშნავია, თუ ეს საათი ემთხვევა სურვილსა და შესაძლებლობას, გააჩინო ბავშვი. მათ კი, ვისაც აწვალებს ეჭვი, შეიძლება ეს ტესტი დაეხმაროს.**

**1. როდესაც ბავშვებზე ფიქრობთ, მაშინ...**

ა) უწინარეს ყოვლისა, გახსენდებათ ის, რომ ესაა ზრუნვა და პასუხისმგებლობა – 3 ქულა.

ბ) მზად ხართ ითამაშოთ მასთან – 0 ქულა.

გ) გსურთ აღზარდოთ ისინი, ასწავლოთ – 6 ქულა.

**2. ყველაზე მეტად რას ურჩევდით უშვილო წყვილს?**

ა) სუროგატულ დედას – 1 ქულა

ბ) ექოსკოპიურ გამოკვლევას – 4 ქულა

გ) შვილის აყვანას – 7 ქულა.

**3. როგორ აღიქვამთ ანალიზებისა და გამოკვლევების მასას, რაც აუცილებლად უნდა გაიაროს ფეხმძიმემ?**

ა) დადებითად, საკითხი ხომ ბავშვის ჯანმრთელობას შეეხება – 1 ქულა.

ბ) ფრთხილად –3 ქულა.

გ) მშვიდად, იმის შერჩევა და განსაზღვრა, რა არის საჭირო ჩემთვის და ჩემი ბავშვისთვის, ხომ მე უნდა გავაკეთო –7 ქულა.

**4. როგორ მოიქცევით, თუ არ გაიზიარებთ ექიმის მოსაზრებას თქვენი ფეხმძიმობის წარმოების შესახებ?**

ა) შევეცდები მასთან ურთიერთობა მინიმუმამდე დავიყვანო –1 ქულა.

ბ) გამოვნახავ ჩემთვის უფრო სიმპათიურ ექიმს – 5 ქულა.

გ) მოვითხოვ კონსილიუმს – 2 ქულა.

**5. შემოთავაზებულიდან რომელს მიიჩნევდით უმთავრესად ბავშვის გაჩენის შემდეგ?**

ა) აღდგეთ თავად ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც – 5 ქულა.

ბ) რწმენას, რომ ის არის ჯანმრთელი და ნორმალურად განვითარდება – 3 ქულა.

გ) ოჯახის მყარი მატერიალური მდგომარეობა – 2 ქულა.

**6. თქვენი აზრით, ვინ უნდა აწარმოებდეს ბავშვის აღზრდას 3-4 წლამდე?**

ა) მხოლოდ მე – 3 ქულა.

ბ) შეიძლება ბებია ან ძიძა – 2 ქულა.

გ) მთელი ოჯახი, სადაც ის დაიბადა – 6 ქულა.

**7. მიგაჩნიათ, რომ დიდი მუცელი...**

ა) ბუნებრივია ასეთი პერიოდისთვის – 7 ქულა.

ბ) არავის უხდება – 1 ქულა.

გ) ზოგიერთ ქალს უხდება კიდეც – 2 ქულა.

**8. რა მიგაჩნიათ უმთავრესად, რომ ბავშვი იზრდებოდეს ბედნიერად?**

ა) მყარი ოჯახი პატიოსანი ურთიერთობებით –7 ქულა.

ბ) დედის სიყვარული – 2 ქულა

გ) შეძლება და საცხოვრებელი პირობები – 3 ქულა.

**9. თავად თქვენ როგორ უყურებთ შვილად აყვანას?**

ა) ეს ჩემი საქმე არაა – 0 ქულა.

ბ) ეს შესაძლებელია, თუ არის მატერიალური ბაზა –1 ქულა.

გ) ვოცნებობ ბავშვის აყვანაზე – 5 ქულა.

### შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**55-დან 46 ქულამდე.** ერთი შეხედვით, თქვენი მეტად მშვიდი დამოკიდებულება დედობისადმი წარმოაჩენს ნამდვილ ქალურ სიბრძნეს. თქვენი დამოკიდებულება ბავშვისადმი, როგორც ჩანს, იქნება თანაბარი და ჰარმონიული. გილოცავთ, თქვენ ბრძენი დედა იქნებით!

**45-დან 32 ქულამდე.** მეტი გრძნობები და ემოციები! ნუ დაივიწყებთ, რომ ბავშვისთვის, განსაკუთრებით ჩვილისთვის, იმდენად არაა მნიშვნელოვანი კომფორტი, რამდენადაც მისდამი დედის ჭეშმარიტი და მზრუნველი დამოკიდებულება. გახდით უფრო თბილი, უფრო რბილი, ნუ ეცდებით მიბაძოთ მეტად დაკავებულ და უზრუნველყოფილ დედებს, რომლებიც დედის მოვალეობას მხოლოდ ბრწყინვალე საგნებსა და სათამაშოებში ხედავენ.

**31-დან 10 ქულამდე.** თქვენმა ჰიპერპასუხისმგებლობამ შეიძლება აღზრდის ავტორიტარულ სტილთან მიგიყვანოთ, შედეგად კი თქვენი ტრანსფორმირება მოხდეს დედობრივი ეგოიზმის მეტად არასასიამოვნო ფორმად. არაა საჭირო მსხვერპლი – დაგვიჯერეთ, ბავშვს გაცილებით მეტად სჭირდება თქვენი სიყვარული და ემოციური მხარდაჭერა, ვიდრე ასეთი მძაფრი, თითქმის ნევროზული დედური სიყვარული.

## ცინცხალი ანეკდოტები

– დაზარალებულო, რატომ არ გაექეცით მოძალადეს? – ეკითხებიან გაუპატიურებულ ქალს.

– იმიტომ, რომ არსად არ მეჩქარებოდა.

* * *

– ჩემს ცოლს გახდომა უნდა და გამუდმებით ცხენით ჯირითობს.

– როგორია ერთი თვის შედეგი?

– ცხენი ათი კილოგრამით გახდა.

* * *

– პეტკა, ნახევარი ლიტრი არყის დალევის მერე მუშაობას შეძლებ?

– რა პრობლემაა!

– ლიტრის დალევის შემდეგ.

– მაშინაც შევძლებ!!



– ორი ლიტრის შემდეგ?

– ორი ლიტრის შემდეგ უკვე ველარ ვიმუშავებ... მუშებს ვუხელმძღვანელებ!!!

* * *

– შენ გაქვს შენი შეყვარებულის ინტიმური ფოტო?

– არა.

– გამოგიგზავნო?

* * *

დამნაშავე სახრჩობელაზე აჰყავთ.

– ხელი გამიშვით! მაინც რომელი კანონის მიხედვით აპირებთ ჩემს ჩამოხრჩობას? – ყვირის იგი.

– ჩვენ მუდამ ერთი კანონის მიხედვით ვახრჩობთ ხალხს.

– მაინც რომელი კანონისა?

– მსოფლიო მიზიდულობისა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ–გაზეთებიდან



### გოგი თოფაძეზე გამოძიების დაწყებას ითხოვენ

სოჭის ოლიმპიადაში მონაწილე ქართველი მოთხილამურის იასონ აბრამაშვილის ოჯახი მათსა და გოგი თოფაძეს შორის არსებული სამართლებრივი დავის გამოძიებას მოითხოვს. აბრამაშვილების ადვოკატის გაგი მოსიაშვილის განცხადებით, აბრამაშვილების ოჯახი და გოგი თოფაძე ბიზნესპარტნიორები იყვნენ, თუმცა, აბრამაშვილებს არანაირი სარგებელი არ მიუღიათ. ობიექტური გამოძიების შემთხვევაში, შეიძლება გამოიკვეთოს გოგი თოფაძის დანაშაული, რის გამოც აბრამაშვილების ოჯახს დიდი ზიანი მიადგა.

**„ალია“**

### როგორ გახდა კეზერაშვილი უმსხვილესი მოთამაშე საწვავის ბაზარზე

ამის შესახებ წერს „ქრონიკა+“. აქ წაიკითხავთ წინა ხელისუფლების „შესანიშნავი ოთხეულის“ – საკაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილ-კეზერაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტებს, ინტერვიუს „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელთან და დირექტორთან, რომელსაც, თავის დროზე, ნავთობპროდუქტებისა და ავტოგასამართი სადგურების ბიზნესი სწორედ კეზერაშვილმა დაათმობინა ზეწოლის შედეგად და „შესანიშნავი ოთხეულის“ დანარჩენი სამი წევრის „კურთხევით“ საკუთარი კომპანია შექმნა.

**„ქრონიკა+“**

### ქართულ თაფლზე მოთხოვნა იზრდება, წარმოება კი – არა

უცხოეთში ქართულ თაფლზე მოთხოვნა მატულობს, წარმოება – მცირდება. ეს ოფიციალური მონაცემებია, მაგრამ მეწარმეები ამტკიცებენ, რომ თაფლის წარმოება გაზრდილია, რადგანაც სერტიფიკატთან დაკავშირებით პრობლემებია, აბსოლუტურ უმრავლესობას პროდუქციის წარმოება არალეგალურად უწევს. მეწარმეების განცხადებით, პრობლემა 2004 წლიდან არსებობს და წლების განმავლობაში დარგი უყურადღებობას განიცდის. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მეფუტკრეობის სფერო სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში მოექცა, რაც დარგის გაუკეთესების იმედს აღძრავს.

**„რეზონანსი“**


რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.


## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
მურამ მოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24